ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

12 ივნისიდან!
„ახალი თაობა“
+
დალაილამა
8 ლარი



ოთხშაბათი, 12 ივნისი, 2013 | №137 (6138) | ფასი: 30 თეთრი

ბიძინა ივანიშვილი: „რატომ დააანონსა პრეზიდენტმა ავლანეთში ჩასვლა ერთი თვით ადრე?“

გვ.4

ქუთაისის პარლამენტში ჭერი ჩამოიქცა

გვ.3

მშენებლობის პროცესში მაღალი თანამდებობის პირების მიერ კონტროლირებადი კერძო კომპანიები მონაწილეობდნენ

ბავშვის გაუპატიურების მცდელობისთვის პოლიციამ 65 წლის კაცი დააკავა

— გვ. 6 —

გვ.3

ზურაბ ადეიშვილი ვანო მერაბიშვილს უპირისპირდება

იუსტიციის ყოფილი მინისტრის სახელით მორიგი განცხადება ვრცელდება

ჯოზეფ კეი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დაბრუნებას ითხოვს

გვ.4

მაია ფანჯიკიძე: „პრეზიდენტის ყველა ვიზიტი საგარეო საქმეთა სამინისტროსთან იქნება შეთანხმებული“

გვ.4

გვ.5

გელა ნიკოლაიშვილი: „სასამართლო შედარებით თავისუფალი იქნება“

„პატიმრებს დამპალ საჭმელს აჭმევდნენ“

გვ.6

ISSN 1987-9385

6 მეუღლისა და 5 წლის შვილის მკვლელი დააკავეს

4 ყარამანიშვილებმა ტელეკომპანია „მზე“ გაყიდეს

6 შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღო

2 ირაკლი ღარიბაშვილი: „უშიშროების საბჭო არაეფექტური და უუნაროა“

ყარამანიშვილებმა ტელეკომპანია „მზე“ გაყიდეს

გიორგი და ლევან ყარამანიშვილებმა, რომლებიც ტელეკომპანია „მზის“ 40 და 50 პროცენტს ფლობდნენ, საკუთარი წილი „პირველი სტერეოს“ გენერალურ დირექტორს ზვიად ამირიძეს მიჰყიდეს. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, მხარეებს შორის ხელშეკრულება მიმდინარე წლის 10 ივნისს გაფორმდა. დოკუმენტების თანახმად, ნასყიდობის ფასი კონფიდენციალურია, – იტყობინება „მედია.გე“.

მისივე ცნობით, დანარჩენი 10 პროცენტი გიორგი გეგეშიძეს დარჩა. გიორგი და ლევან ყარამანიშვილები ამჟამად ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 90 პროცენტს ფლობენ.

ლევან ყარამანიშვილი ქართულ მედია ბიზნესში 2011 წელს მას შემდეგ გამოჩნდა, რაც მაუწყებლის ფლობა ოფშორულ ზონაში რეფისტრირებულ კომპანიებს აეკრძალათ. მაშინ მან ტელეკომპანიების „რუსთავი 2“-სა და „მზის“ 90 პროცენტი შეიძინა. 2012 წლის არჩევნების შემდეგ კი მან ამ მაუწყებლების 40 პროცენტი თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის კუთვნილ კომპანიას მიყიდეს, რომელმაც 5 დღეში იგივე წილები – „რუსთავი 2“-ის 40 პროცენტი ნახევარ მილიონ დოლარად, „მზის“ 40 პროცენტი კი 250 ათას დოლარად გიორგი ყარამანიშვილს მიჰყიდა. ლევან ყარამანიშვილი საკომუნიკაციო კომპანია „მობიტელის“ (ბილაინი) სამეთვალყურეო საბჭოს წევრიცაა. ყარამანიშვილები პრეზიდენტთან დაახლოებული ბიზნესმენები არიან.

ზვიად ამირიძე მარშალის კუნძულებზე შექმნილ ოფშორულ ზონაში რეგიტრირებული კომპანიის, „ჩემექსიმ ინტერნეიშენალის“ წარმომადგენელია საქართველოში. ამ კომპანიის პარტნიორია პარლამენტის წევრი დავით ბეჟუაშვილი, რაც მან 2012 წელს შევსებულ დეკლარაციაში მიუთითა.

„ჩემექსიმ ინტერნეიშენალი“ ფლობს შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“. ვიდრე კანონმდებლობაში ცვლილება შევიდოდა და ოფშორულ კომპანიებს მაუწყებლების ფლობა აეკრძალებოდათ, „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ სამი ტელეკომპანიის „რუსთავი 2“-ის, „მზისა“ და „პირველი სტერეოს“ მესაკუთრე იყო.

ამჟამად „ჩემექსიმ ინტერნეიშენალი“ „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ გარდა ფლობს შემდეგ კომპანიებს – შპს „პოლიპლასტიკი“, შპს „ჯორჯიან ბიზნეს ვიქ“, რომელიც ამავე სახელწოდების გაზეთს გამოსცემს. აგრეთვე შპს „ტექნონეტი“, შპს „საქართველოს მედია ჰოლდინგი“, შპს „საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი“ (კვლევითი კომპანია I)

მედიანიუსი

ელისო ჩაფიძე: „არავის უნდა შეეშინდეს იმის, რომ პრემიერ-მინისტრი დანიშნავს რექტორებს“

პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ელისო ჩაფიძე განმარტავს, რომ უმაღლეს სასწავლებლებთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ელისო ჩაფიძის თქმით, იმ პირის მიმართ, რომელიც აღნიშნულ პოზიციას არ შეესაბამებოდა, გადაწყვეტილებების მიღება პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა.

„არ შეიძლება აკადემიური ხარისხის, დოქტორის ხარისხის გარეშე პირი არჩეული იქნას დეკანის, ან რექტორის თანამდებობაზე და ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით კანონპროექტში არაფერია ისეთი, რაც უნივერსიტეტის ავტონომიას ხელს შეუშლის,“ – ამბობს ელისო ჩაფიძე.

უმრავლესობის დეპუტატის თქმით, არავის უნდა შეეშინდეს იმისი, რომ რამენაირად პრემიერ-მინისტრი დანიშნავს კონკრეტული აკადემიური დაწესებულების ხელმძღვანელს.

„ეს საკითხი მოგვარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან, თუკი არ არის არჩეული რექტორი, თუმცა კანონმდებლობით ყველა პოზიციაზე უნდა იყოს აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული რექტორი. ამ თვალსაზრისით არანაირი ცვლილება არ არის,“ – აცხადებს ელისო ჩაფიძე.

ნიუსპრესი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩინეთის მთავრობამ 30 ცალი სამელიორაციო ტექნიკა გადასცა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გუშინ, ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან, 30 ერთეული სამელიორაციო ტექნიკა გადაეცა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ცერემონიის ფარგლებში სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ და ჩინეთის ელჩმა საქართველოში ჩენ გიან ფუმ ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის თანახმადაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობისგან გრანტის სახით, საჩუქრად 30 ერთეული თანამედროვე ტექნიკა მიიღო.

გრანტით მიღებულ ტექნიკას სოფლის მეურნეობის სამინისტრო სამელიორაციო სისტემების კომპანიას გადასცემს. აღნიშნული ტექნიკა ხელს შეუწყობს საქართველოში საირიგაციო სისტემების სრულყოფის კუთხით მიმდინარე სამუშაოების შესრულებას.

ნიუსპრესი

მიხეილ სააკაშვილი: „ანტიპათიებისა და პიროვნული ზიზღის ზემოთ უნდა დავდგეთ“

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „უშიშროების საბჭო არის ფორმატი, სადაც დახურულ კარს მიღმა ბევრი საკითხი გაცილებით უფრო ადვილად წყდება“.

ამის შესახებ ქვეყნის პირველმა პირმა უშიშროების საბჭოს სხდომის გახსნისას განაცხადა.

„თავისთავად ძალიან პოზიტური მოვლენაა, რომ უშიშროების საბჭოს სხდომები განახლდა. ჩვენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალებით გვაქვს დაკომპლექტებული უშიშროების საბჭო, ისევე როგორც მთავრობა, საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტიის ადმინიტრაცია, ჩვენ რა თქმა უნდა, შეიძლება, განვსხვავდებოდეთ საქართველოს უახლესი წარსულის შეფასებით, ჩვენი აღქმით, ჩვენი ქვეყნის აწმყოთი და საქართველოს მომავლის ხედვით, მაგრამ ჩვენ არ შეიძლება, განვსხვავდებოდეთ მთავარ საკითხებში, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, უსაფრთხოება, ჩვენი ქვეყნის დაცულობა ყველასთვის ერთნაირად საზრუნავი და მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, უშიშროების საბჭო არის ფორმატი, სადაც დახურულ კარს მიღმა ბევრი საკითხი გაცილებით უფრო ადვილად წყდება. ძალიან ბევრ საინტერესო ინფორმაციებს ვიგებთ ერთმანეთისგან. საბოლოო ჯამში ეს წაადგება ქვეყნის უსაფრთხოებას, ხელს შეუწყობს საქმიან ატმოსფეროს. მიუხედავად ზოგადი პოლიტიკური დავებისა, ურთიერთბრალდებების და ასევე ზოგადი პოლიტიკური კონკურენციისა, ასე უნდა იყოს დემოკრატიულ ქვეყანაში, იმედია, ვაშენებთ საქართველოში დემოკრატიას. მე მივესალმები ამ შეკრებას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ დღევანდელ სხდომაზე აზრების გულწრფელი გაცვლა-გამოცვლა გვქონდეს, ეს არის ავღანეთში შეტევა ჩვენს ჯარზე, უპრეცედენტოდ დიდი მსხვეპრლით. საქართველოს თავდაცვის მინისტრი იყო ჩასული ადგილზე და მას მომხდარზე მეტი ინფორმაცია აქვს. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ გენშტაბის უფროსის მოადგილემ გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ ამ თემაზე ქართულ საზოგადოებას ამომწურავი განმარტება მისცა, თუნდაც ბოლო დღეებში. დასაფასებელია, როცა სამხედროები ხალხისთვის მისაწვდომ ენაზე ხსნიან იმ საკითხებს, რომელიც ეხება ქვეყნის უსაფრთხოებას. რომ შევაჯამოთ, ეს არის ის ფორმატი, როცა ყველანი უნდა დავდგეთ პიროვნული ემოციების, ანტიპათიების, თუ პიროვნული ზიზღის და დაპირისპირების ზემოთ, რადგან საქმე ეხება ქვეყნის უსაფრთხოებას. იმედია, შემდეგი შეხვედრები უფრო წარმომადგენლობითი იქნება“, – განაცხადა სააკაშვილმა.

პირველი

სამართალდამცველებმა ჩინეთის მოქალაქე დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, კომპანია „პეგასუს ფარმაცევტიკალ გრუპის“ თანამშრომელი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე ვეივეი ჟენგი დააკავეს. საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული საგადასახადო დოკუმენტაციის გარეშე ყიდდა დიდი ოდენობის ღირებულების სხვადასხვა სამშენებლო მასალას და სამედიცინო ტექნიკას.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ აღნიშნული მასალა და ტექნიკა განკუთვნილი იყო იმ საინვესტიციო პროექტისთვის, რომლის ფარგლებშიც, „პეგასუს ფარმაცევტიკალ გრუპს“ ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის რეაბილიტაცია უნდა განეხორციელებინა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2003 – მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

საქართველოში სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების აღდგენაზე მუშაობა დაიწყო

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გუშინ, სეტყვის საწინააღმდეგო ეროვნული სისტემის რეაბილიტაციის საკითხის განხილვა გაიმართა.

შეხვედრას მინისტრი დავით ნარმანია, მინისტრის მოადგილეები, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ .

სხდომაზე სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტას“ ხელმძღვანელმა უჩა ძოძუაშვილმა, სეტყვის საწინააღმდეგო სხვადასხვა ტიპის სისტემების პრეზენტაცია წარმოადგინა. მონაწილეებმა თითოეული სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ტექნიკური მახასიათებლები, ზემოქმედების სიძლიერე, ფასები და ეფექტურობა განიხილეს.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა, დაახლოებით 2 კვირის შემდეგ, მსგავსი ტიპის შეხვედრა კვლავ ჩატარდება, რომელზეც სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების რეაბილიტაციის პროექტები თავისი ფინანსური გაანგარიშებით იქნება წარმოდგენილი.

აღნიშნული სისტემების აღდგენა ქვეყანაში სტიქიური უბედურებების რიცხვს და მისგან გამოწვეულ ზარალს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

ნიუსპრესი

„სტუდენტური დასაქმება ბიზნესისთვის მომგებიანი არ არის“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, „სტუდენტური დასაქმება ბიზნესისთვის მომგებიანი არ არის“.

ამის შესახებ მარგველაშვილმა გუშინ სამინისტროში სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე საზაფხულო სტუდენტურ დასაქმებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი სტუდენტის შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

„მე იმ სტუდენტებს, რომლებიც სტუდენტური დასაქმების აღდგენას ითხოვდნენ, შევხვდი და ავუხსენი, რატომ არის მიუღებელი ერთთვიანი დასაქმების პროგრამა როგორც ბიზნესისთვის, ისე სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე. ბიზნესისთვის მსგავსი პროექტი წარმატებების მომტანი არ არის, არ არის მომგებიანი და ამასთან, არ მგონია, რომ მსგავსი საზაფხულო სამუშაოები სტუდენტებისთვის ცოდნისა და კვალიფიკაციის მიმღები იყოს. მე ეს ავუხსენი სტუდენტებს. ჩემი, როგორც სახელმწიფო მოხელის პოზიცია, რომ ის 14 მილიონი, რაც სტუდენტურ დასაქმებაზე იყო მიმართული, ჩვენ სწავლების დაფინანსებას მოვახმარეთ“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

პირველი

პროკურატურაში ელისო კილაძე დაკითხეს

გაზეთ „ქრონიკა+“-ის რედაქტორი ელისო კილაძე თბილისის პროკურატურაში დაკითხვაზე დაახლოებით ოთხი საათის განმავლობაში იმყოფებოდა.

კილაძის პროკურატურაში დაბარება მის მიერ კომპანია „რუს მეტალის“ საკითხზე და მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილისთვის უფლებამოსილების შეჩერების მოთხოვნას უკავშირდება.

,,ოთხი საათის განმავლობაში დეტალურად ვისაუბრეთ. რაც შეეხება ჩემს შეფასებას, მიუხედავად იმისა, რა გზით წავა და რა შედეგებით დასრულდება გამოძიება, მინდა მადლობა ვუთხრა თეა წულუკიანს იმ რეაგირებისთვის, რაც უკვე მოჰყვა ჩემს განცხადებას“, – განაცხადა ელისო კილაძემ.

მისი ინფორმაციით, „რუსმეტალის“ ერთ-ერთმა მოწილემ, ზაზა მამულაიშვილმა, 2012 წლის 20 დეკემბერს, განცხადებით მიმართა არა მთავარ პროკურორს, არამედ ლაშა ნაცვლიშვილს. მაშინ, როდესაც ასეულობით საჩივარი პროკურატურაში რეაგირების გარეშე დევს ამ დრომდე, ნაცვლიშვილმა ოპერატიულად, 24 დეკემბერს აღძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება თაღლითობის მუხლით. „რუსმეტალში“ დაინიშნა ფინანსური შემოწმება, რომლის ვადაც 25 მარტს ამოიწურა. ამ დრომდე, კომპანიში შემოწმების აქტი არ მიუღიათ. სწორედ იმ დღეს, როცა საზოგადოებრივ მაუწყებელზე, დავით პაიჭაძის საავტორო გადაცემა „დიალოგებში“ მას უნდა გაესაჯაროებინა ჟურნალისტური გამოძიების მასალები, პროკურატურამ გამოაქვეყნა ფულის გათეთრების სქემა „რუსმეტალში“, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „რუსმეტალი“ წინა ხელისუფლების პირობებში, საგადასახადო შეღავათებით სარგებლობდა და ის არცერთხელ შეუმოწმებია ფინანსურ პოლიციას.

ელისო კილაძის თქმით, ეს არის ტყუილი, რადგან კომპანიაში საგადასახადო შემოწმება 2006-07 წლებშიც ჩატარდა და 2008-2009 წლებშიც, როდესაც მას ბიუჯეტის სასარგებლოდ 600 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა. ამ გადაწყვეტილებას „რუსმეტალის“ ხელმძღვანელობა არ ეთანხმებოდა და გაასაჩივრა დავების საბჭოში, თუმცა უშედეგოდ.

,,არსებობს საერთაშორისო აუდიტორული კომპანია „პრაის ვოტერჰაუს კუპერსის“ დასკვნა. ეს გახლავთ ავტორიტეტული კომპანია, რომლის დასკვნასაც მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტები ენდობიან, არ ენდობა მხოლოდ ლაშა ნაცვლიშვილი“, – განაცხადა ელისო კილაძემ.

მედიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილი: „უშიშროების საბჭო არაეფექტური და უუნაროა“

შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, უშიშროების საბჭო არაეფექტური და უუნაროა. ამის შესახებ ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს უშიშროების გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა. „ეს არის არაეფექტური, ძალიან ფორმალური და ძალიან ხელოვნური შეხვედრები“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. რაც შეეხება იმას, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მთავრობის წევრები უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობას აღარ მიიღებენ, ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ის პატივს სცემს ინსტიტუტებს.

„მე, როგორც ხალხის მიერ არჩეული მთავრობის წარმომადგენელი, პატივს ვცემ ინსტიტუტებს, იქნება ეს პრეზიდენტის ინსტიტუტი თუ სხვა და ვმონაწილეობ უშიშროების საბჭოს მუშაობაში, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს აბსოლუტურად არაეფექტური და უუნარო უშიშროების საბჭოა“, – აღნიშნა მინისტრმა.

პირველი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ქუთაისის პარლამენტში ჭერი ჩამოიქცა

მშენებლობის პროცესში მაღალი თანამდებობის პირების მიერ კონტროლირებადი კერძო კომპანიები მონაწილეობდნენ

შორენა მარსაგიშვილი

გილოცავთ მეგობრებო, საქართველო ევროპაში და შესაძლოა მსოფლიოშიც პირველი ქვეყანაა, რომელსაც კაბრიოლეტი პარლამენტის შენობა აქვს. 10 ივნისის ღამით პარლამენტის შენობის ნაწილში ჭერი ჩამოიქცა. წვიმის ჩამოსვლა და ჭერიდან ნათურების ცვენა აქ ჩვეული ამბავი იყო, მაგრამ ჭერის ჩამონგრევა უკვე ნამეტანია. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ამ შენობის ასაშენებლად საქართველოს ბიუჯეტმა თითქმის 400 მილიონი დახარჯა.

ნგრევის შედეგად, საბედნიეროდ, არავინ დაზარალებულა. არც ჩვენს დეპუტატებს შეკრთომიათ მამაცი გულები. ისე, ასეთ შენობაში ჯდომას, სულ ცოტა, კომუნისტის გული სჭირდება. ამ პირობებში მუშაობისთვის აპარატის თანამშრომლები ღირსების ორდენებს ნამდვილად იმსახურებენ. დეპუტატებს რაც შეეხება, ისინი იქ იშვიათად თუ შეირბენენ ხოლმე. თანაც იმდენი ხელფასი აქვთ, შეუძლიათ საკუთარი გემოვნებით შეუკვეთონ ორდენები.

ახლა რაც შეეხება ნგრევას. შენობის ნული სართულის ერთ-ერთ მონაკვეთზე ჭერის ჩამონგრევის მიზეზი სახანძრო მილის დაზიანება გახდა.

პარლამენტის აპარატის უფროსის ზურაბ მარაქველიძის ინფორმაციით, წყლის ძლიერ ნაკადს კედელმა ვერ გაუძლო და ნაწილობრივ ჩამოიშალა.

ფლიგელში, სადაც ნგრევა მოხდა, განთავსებულია გარემოს დაცვის, დარგობრივი ეკონომიკის, ჯანდაცვისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეების სამუშაო ოთახები.

მაისის დამლევს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქართველოს პარლამენტში წარმოადგინა დასკვნა. დასკვნის მიხედვით, ქუთაისში პარლამენტის მშენებლობა უნებართვოდ მიმდინარეობდა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ პარლამენტის შენობა განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობას წარმოადგენს. შესაბამისად, მისი მშენებლობის ნებართვას ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში შემავალი „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“ გასცემს.

აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, პარლამენტის მშენებლობაზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს ევალებოდა. თუმცა, როგორც დასკვნაშია აღნიშნული, სამსახურმა ინსპექტირება მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელა. ანგარიშის მიხედვით, პარლამენტის მშენებლობის დაფინანსების წყაროს მთავრობისა და პრეზიდენტის განკარგულებით გამოყოფილი თანხები, აღებული სესხები, ქონების გაყიდვით და იჯარიდან მიღებული სახსრები, ასევე, „ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან“ მიღებული სესხი წარმოადგენს.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელის, ზურაბ ტყემალაძის თქმით, პარლამენტის მშენებლობაზე ხარჯები არამიზნობრივად იყო დახარჯული.

– სახელმწიფო ქონების რეალიზაციის შედეგად, კერძო სამართლის იურიდიული პირი აკეთებდა ამ შენობის ხარჯის დაფარვას, რაც არასწორია. რადგან, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად შემოსული თანხები უნდა წავიდეს ჯერ ბიუჯეტში და შემდეგ უნდა მოხდეს მისი ხარჯვა. ნებართვის გარეშე დაიწყეს მშენებლობა. დასკვნას არ ვიცნობ, მაგრამ საქმეს ვიცნობ. ამიტომ მინდა გითხრათ, რომ ქუთაისის მერიას აქვს ძალიან დიდი შეცდომა დაშვებული,“ – ამბობს ზურაბ ტყემალაძე. ტყემალაძის თქმით, მშენებელმა ორგანიზაციამ დღემდე ვერ მოახერხა შესაბამისი საექსპერტო ბიუროდან დასკვნის გამოტანა, რომ შენობა მყარია და რომ ექსპლუატაციაში გადაცემა შეიძლება. – ასე რომ, ჩვენ ვინც აქ ვართ, ყოველთვის საფრთხის ქვეშ ვიმყოფებით, – აღნიშნა ტყემალაძემ.

ქუთაისში, პარლამენტის ახალი შენობის აშენებაში, რომელშიც წუხელ ჭერი ჩამოინგრა, მაშინდელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მიერ კონტროლირებადი კერძო კომპანიები მონაწილეობდნენ.

„ნიუსპრესის“ ინფორმაციით, მთავრობის სახლისა და პარლამენტის შენობის აშენებისთვის, სადაც ჰაერის ტემპერატურის მომატებისთანავე აუტანელი სიცხე დგება, წვიმის დროს კი წყალი ჟონავს, 347 194 772 მილიონი ლარია გადარიცხული.

ასევე, პარლამენტის მშენებლობის პროცესში მონაწილეობდნენ მაღალი თანამდებობის პირების მიერ კონტროლირებადი კერძო კომპანიები.

კონკრეტულად კი, „ნიუსპრესის“ ინფორმაციით, შპს „მენო ინტერნეიშენალის“ სამეწარმეო საქმიანობიდან, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ჩიქოვანმა, შემოსავლის სახით 917 623 ლარი მიიღო. დროის იმავე პერიოდში, შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ მეწილემ და შემდგომში დასაქმების მინისტრმა პაატა ტრაპაიძემ, ფირმის სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსავლის სახით 1 048 075 ლარი მიიღო, ხოლო როგორც გენერალურ დირექტორს, ანაზღაურების სახით 84 874 ლარი ერგო.

„კერძო კომპანიები, რომლებიც საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ახალი შენობების მშენებლობას ახორციელებდნენ, სამეწარმეო საქმიანობიდან საკმაოდ მსხვილ ფინანსურ მოგებას იღებდნენ, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანმიმართულად მიმდინარეობდა საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, რადგან დაფინანსების და მშენებლობის ასეთი სქემა კორუფციული გარიგებების ალბათობას ზრდის“, - განუცხადა „ნიუსპრესს“ წყარომ.

ვერაფერს იტყვი, მართლაც უნიკალურ ქვეყანაში ვცხოვრობთ. საქართველოში სააკაშვილის და ნაციონალების გარდა ვერავინ ახსნა, რა საჭირო იყო ქუთაისში პარლამენტის შენობის აშენება. ყველა ნორმალურ თუ არანორმალურ ქვეყანაში საკანონმდებლო ორგანო დედაქალაქშია. საქართველოშიც ასე იყო, ვიდრე სააკაშვილმა უცნაური სიზმარი არ ნახა და პარლამენტის ქუთაისში გადატანა არ განიზრახა.

ეტყობა, სიზმარში უთხრეს, ახალი მოწვევის პარლამენტმა ახალ შენობაში უნდა იმუშაოსო. ამანაც დაიჩქარებინა სამუშაოები და მაგიტომაც არის, რომ შედეგად კაბრიოლეტი პარლამენტი მივიღეთ.

ზურაბ ადეიშვილი ვანო მერაბიშვილს უპირისპირდება

იუსტიციის ყოფილი მინისტრის სახელით მორიგი განცხადება ვრცელდება

შორენა მარსაგიშვილი

პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილი წიგნებს მიეძალა. ის დარწმუნებულია, რომ პატიმრობაში მხოლოდ ერთ წელს გაატარებს. ხელისუფლების წარმომადგენლებს კი ამაზე სხვა მოსაზრებები აქვთ. ისინი დარწმუნებით ამბობენ, რომ მერაბიშვილს ბრალი აუცილებლად დაუმძიმდება.

მის წინააღმდეგ ჩვენება შესაძლოა მისმა ყოფილმა თანაგუნდელებმაც მისცენ, მათ შორის, ახალაიებმაც. ახალაიებსა და მერაბიშვილს შორის უკვე დიდი ხანია, რაც ფარული ომი მიმდინარეობს.

ახალაიების გარდა, მერაბიშვილს შესაძლოა იუსტიციის ყოფილი მინისტრიც დაუპირისპირდეს. ზურაბ ადეიშვილი საქართველოდან არჩევნების მეორე დღესვე გაიქცა. თავიდან ახლები მას გამწარებით დაეძებდნენ. ბოლო დროს კი მასზე ხმასაც აღარ იღებენ. გაჩნდა ეჭვი, რომ მათ შორის ფარული გარიგება შედგა.

ეს ეჭვები გუშინ სამშობლოდან გაქცეულის მიერ გავრცელებულმა განცხადებამაც გააძლიერა. ზურაბ ადეიშვილის სახელით, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ცოტა ხნის წინ განცხადება გავრცელდა, სადაც ადეიშვილი დუმილს არღვევს და აცხადებს, რომ ციხის სკანდალში დამნაშავე ვანო მერაბიშვილია.

აღნიშნულ განცხადებას „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

– მე, ზურაბ ადეიშვილი, ვარ საქართველოდან გაქცეული და მინდა დღეს დავარღვიო დუმილი და ყველაფერი ვთქვა, რაც ხდებოდა ამ ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში. დიახ, მე მინდა ზუსტად ყველაფერი ვთქვა იმის შესახებ, რაც ვიცი ციხის ამბების შესახებ. ამ საქმეში ვანო მერაბიშვილია დამნაშავე, რომელიც მეთაურობდა ყველა იმ საშინელებას, რაც ხდებოდა იმ დროს ციხეებში, ასევე ლაფანყურის ამბებიც მაგის ერთ-ერთი საგმირო საქმეა. მე მარტო ვანო მერაბიშვილს არ ვადანაშაულებ, იმ ამბებს, რაც ხდებოდა იმ დროს საქართველოში, ამ საქმეებს ძირითადად საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის შეკვეთით ასრულებდა ვანო მერაბიშვილი, ასევე ძმები ახალაიები მისი ქვეშევრდომები და შემსრულებლები იყვნენ და არაერთი ბოროტება აქვთ ჩადენილი. მე მზად ვარ ჩამოვიდე და სამართალდამცველების ყველა კითხვას ვუპასუხო. მე არ გავურბივარ სამართალს და თუ დამნაშავე ვარ, მზად ვარ კანონის წინაშე წარვდგე. მე ასევე მაქვს ის დამამტკიცებელი საბუთები, სადაც სააკაშვილის ბრძანებით მოდა 7 ნოემბერს მშვიდობიანი ხალხის დარბევა და ასევე, მისივე ბრძანებით დაარბიეს 26 მაისს მშვიდობიანი მოქალაქეები, რა დროსაც რამდენიმე ადამიანი ცემით მოკლეს. ბევრი მაქვს სათქმელი ხალხისთვის. მინდა ხალხს ბოდიში მოვუხადო იმის შესახებ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვდუმდი და არ ვლაპარაკობდი. დიახ, აი, ამიტომ ვარ მე დამნაშავე და არ მიკვირს, რომ ხალხს ჩემდამი ზიზღის გრძნობა აქვს, – ნათქვამია ყოფილი მინისტრის სახელით გავრცელებულ განცხადებაში.

რა პრემიებს იღებენ დეპუტატები

შორენა მარსაგიშვილი

2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის აპრილის თვის ჩათვლით საქართველოს პარლამენტის წევრებზე პრემიის სახით სულ გაცემულია 2 702 646,84 ლარი. ამის შესახებ ცნობას ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი პარლამენტიდან მიღებულ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით ავრცელებს.

ინსტიტუტის ცნობით, აღნიშნული 2 702 646,84 ლარიდან წინა მოწვევის პარლამენტის პირობებში (2012 წლის იანვარი-ოქტომბერი) გაცემულია 1 746 258 ლარი, ხოლო ახალი მოწვევის პარლამენტის პირობებში (2012 წლის ნოემბერი – 2013 წლის აპრილი) – 956 389 ლარი. ამავე დროს, სახელფასო დანამატებით სულ გაცემულია 2 938 319 ლარი, საიდანაც წინა მოწვევის პარლამენტის პირობებში გაცემულია 1 415 043 ლარი, ხოლო ახალი მოწვევის პარლამენტის პირობებში – 1 523 276 ლარი.

საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, პარლამენტის წევრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2000 ლარს. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ცნობით, წინა მოწვევის პარლამენტის პირობებში აღნიშნულ თანხას ემატებოდა სახელფასო დანამატი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის, რომელიც განსაზღვრული იყო 2008 წლის 28 ივლისის საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, და პრემიები. წინა პარლამენტის მოწვევის პირობებში თანამდებობრივი სარგოს, სახელფასო დანამატისა და პრემიების გათვალისწინებით პარლამენტის თავმჯდომარის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 6759 ლარს შეადგენდა, თავმჯდომარის პირველი მოადგილის – 6329 ლარს, ხოლო პარლამენტის რიგითი წევრის – 4009 ლარს.

2012 წლის ოქტომბრის თვეში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, ახალი პარლამენტის მოწვევის პირობებში დეპუტატთა შრომის ანაზღაურება 2013 წლის იანვრის თვემდე განისაზღვრებოდა იგივე მეთოდით. პარლამენტის წევრები იღებდნენ საქართველოს კანონით განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოს 2000 ლარს, სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის სახელფასო დანამატს და პრემიას.

2012 წლის ნოემბრის თვიდან 2013 წლის იანვრის თვემდე პარლამენტის თავმჯდომარის საშუალო ყოველთვიური ხელფასი 7504 ლარს შეადგენდა, მისი პირველი მოადგილის – 7087 ლარს, ხოლო პარლამენტის რიგითი წევრის – 4863 ლარს.

– ზემოთ მოყვანილი მონაცემები, რომელიც მოიცავდა 2012 წლის იანვრიდან 2013 წლის იანვრამდე პერიოდს და აჩვენებდა ახალი მოწვევის პარლამენტის წევრების გაზრდილ შემოსავლებს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული იქნა ჯერ კიდევ 2013 წლის იანვარში, რის საპასუხოდაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა დავით უსუფაშვილმა საზოგადოებას ამცნო, რომ პარლამენტის წევრების პრემიებით დაჯილდოების პრაქტიკა გაუქმდებოდა. როგორც საქართველოს პარლამენტიდან მიღებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, პრემიის გაცემის პრაქტიკა 2012 წლის იანვრის თვიდან მართლაც გაუქმებულია. თუმცა, აღნიშნულის კვალდაკვალ 2013 წლის 18 იანვრის საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, გაიზარდა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისთვის არსებული სახელფასო დანამატები, – ნათქვამია ინსტიტუტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გაუქმებული პრემიების გაცემის პრაქტიკის და გაზრდილი სახელფასო დანამატების ფონზე 2013 წლის თებერვლის შემდგომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ყოველთვიურმა შემოსავალმა 7504 ლარიდან 5905 ლარამდე დაიწია, ხოლო რიგითი დეპუტატის საპარლამენტო ყოველთვიური შემოსავალი 3790 ლარით განისაზღვრა.

– როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ირკვევა, 2012 წლის ოქტომბრის თვის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 3 თვის განმავლობაში დეპუტატებს გაეზარდათ საშუალო ყოველთვიური შემოსავალი პრემიების ხარჯზე წინა მოწვევის დეპუტატების შემოსავლებთან შედარებით, ხოლო 2013 წლის თებერვლის თვიდან პრემიების გაცემის ყოველთვიური პრაქტიკა გაუქმდა, რამაც განაპირობა შემოსავლების კლება. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პერიოდის შემდგომ დანამატები სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაიზარდა. პრემიების გაცემის ყოველთვიური პრაქტიკის გაუქმებით, რეალურად, ახალი მოწვევის პარლამენტის ჩვეულებრივი დეპუტატების შემოსავლები უნდა შემცირებულიყო 30%-ით წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატების შემოსავლებთან შედარებით, თუმცა სახელფასო დანამატების ზრდამ განაპირობა შემოსავლების მხოლოდ 5-პროცენტიანი შემცირება, – აცხადებენ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტში.

2013 წლის 18 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის აპარატის სჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს და დანამატების ოდენობები, რომლის მიხედვითაც, თითოეული თანამშრომელი, თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, ყოველთვიურად მიიღებს ფიქსირებულ სახელფასო დანამატს.

ამასთან, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში ჩანს, რომ 2012 წლის ნოემბრის თვემდე საშუალოდ აპარატის თანამშრომლებზე ყოველთვიურად გაცემული პრემიები და დანამატები ერთობლივად შეადგენდა 370 765 ლარს, ხოლო საპარლამენტო არჩევნების შემდგომ აღნიშნული თანხა გაორმაგებულია და საშუალოდ ყოველთვიურად შეადგენს 763 922 ლარს. რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის და მისი მოადგილის მიერ საშუალოდ ყოველთვიურად მიღებულ პრემიებს და სახელფასო დანამატებს, საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, აპარატის თანამშრომლების მსგავსად, მათ შემთხვევაშიც მზარდი ტენდენცია შეინიშნება.

– ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ 2013 წლის იანვრის თვის შემდგომ საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა პრემიებით დაჯილდოების პრაქტიკა გაუქმებულია, თუმცა აღნიშნულის საპირისპიროდ გაზრდილია სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის სახელფასო დანამატები. რაც შეეხება პარლამენტის აპარატს, ამ შემთხვევაშიც დაწესებულია ყოველთვიური ფიქსირებული სახელფასო დანამატები, რომელთან ერთადაც დროგამოშვებით ვხვდებით თანამშრომელთა პრემიებით წახალისებას, რამაც განაპირობა აპარატის თანამშრომლების შემოსავლების ზრდა საპარლამენტო არჩევნებამდელ პერიოდთან შედარებით, – აცხადებენ ინსტიტუტში.

მაია ფანჯიკიძე: „პრეზიდენტის ყველა ვიზიტი საგარეო საქმეთა სამინისტროსთან იქნება შეთანხმებული“

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა და მათ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა.

პრესის კითხვების უმეტესობა უშიშროების საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხებს ეხებოდა. ფანჯიკიძეს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან და უშიშროების საბჭოს წევრებთან ძალიან ბევრი შეკითხვა ჰქონდა.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე საგარეო უწყების ხელმძღვანელს ასეთი განწყობა ჰქონდა:

– მე მაქვს ძალიან ბევრი შეკითხვა უშიშროების საბჭოს წევრებთან და პირადად პრეზიდენტთან. ეს ეხება არა მარტო ელჩების დანიშვნის საკითხს, არამედ მთელ რიგ საკითხებს, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს ეხება. მე იმედს გამოვთქვამ, რომ მე ამ შეკითხვებზე, რომლითაც სხდომაზე მივდივარ, პასუხებს მივიღებ, რადგან მიმაჩნია, რომ სხვაგვარად სხდომის ჩატარებას აზრი ეკარგება. რაც შეეხება პრემიერის განცხადებას, ის ამ და სხვა საკითხებით არის დაკავებული მუდმივად. იგი ქმედით ღონისძიებებს ატარებს ყველა მიმართულებით, რომელიც არის სახელმწიფოს ინტერესში, ხოლო ამ კონკრეტულ საკითხებზე სასაუბროდ მივდივართ ის მინისტრები, ვისაც ეს საკითხი პირდაპირ ეხება. ერთ-ერთი კითხვა, რომელიც მე მექნება, არის ელჩების საკითხი. საუბარია არა მხოლოდ თედო ჯაფარიძეზე, არამედ კიდევ სამ ელჩზე, რომლის კანდიდატურაც პრეზიდენტთან უკვე სამი თვეა, შესულია. მაინტერესებს, რატომ ვერ ხერხდება ამ საკითხის დაძვრა, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით, „თალიბანის“ სახელით გავრცელებული ვიდეორგოლების დამზადებასთან დაკავშირებით გამოძიებას პროგრესი აქვს.

მინისტრის თქმით, ის არ არის უფლებამოსილი, დეტალებზე ისაუბროს და ამას შესაბამისი უწყებები გააკეთებენ.

მინისტრის განცხადებით, 16 ივნისს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რომში გაემგზავრება.

მიხეილ სააკაშვილი სურსათის უვნებლობის სამსახურის ორგანიზაციის მიერ არის მიწვეული და ეს არის მეორე შემთხვევა მთავრობის ცვლილების შემდეგ, როდესაც პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის შემადგენლობაში საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელიც იქნება ჩართული.

გასულ კვირას გამართული უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გააკეთა განცხადება, რომ პრეზიდენტი თავის ყველა ვიზიტს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეათანხმებს.

– მაისის ბოლოს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დამიკავშირდა პრეზიდენტის პროტოკოლის უფროსი და ეკვადორში პრეზიდენტის ვიზიტში საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ჩართვა შემომთავაზა. ეს ვიზიტი 24 მაისს შედგა. დაგეგმილი იყო პარლამენტის თავმჯდომარის ჩასვლა ეკვადორში, მაგრამ ის აღარ წავიდა, როცა ეს ინფორმაცია გახდა ცნობილი. მანამდე არც ერთხელ მსგავსი შემოთავაზება არ ყოფილა. ჩვენ პრესის ან საელჩოების მეშვეობით ვიგებდით პრეზიდენტის ვიზიტების შესახებ. არანაირი კოორდინაციის სურვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციას არ გამოუთქვამს. თუკი იყო შეკითხვის მსგავსი რაიმე მომართვა ჩვენთან. ჩვენ ინფორმაციას ყოველთვის ვაწვდიდით. ასე რომ, ვიზიტების კოორდინაციის საკითხი იქნება ერთ-ერთი, რაზეც უშიშროების საბჭოს სხდომაზე მექნება საუბარი, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე მთელ რიგ ქვეყნებთან ლიბერალური სავიზო პოლიტიკის გადახედვას არ გამორიცხავს.

როგორც ფანჯიკიძემ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, საქართველოში მიგრაციის პოლიტიკა არ არსებობდა, რამაც არაერთი გაუგებრობა წარმოშვა სხვადასხვა სახელმწიფოებთან თუ კერძო პირებთან.

მისივე თქმით, იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილია კომისია, რომელიც მიგრაციის შესახებ კანონმდებლობას შეიმუშავებს.

ფანჯიკიძის თქმით, ეს მოხდება ევროკავშირთან ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო

გეგმის გათვალისწინებით.

– არ არის გამორიცხული ცვლილებების შეტანა ლიბერალურ სავიზო პოლიტიკაში. საქართველოს 121 ქვეყანასთან აქვს უვიზო მიმოსვლა, აქედან 114-თან – ცალმხრივად, რაც ამ ქვეყნები მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, ვიზის გარეშე 160 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ საქართველოში. ამ ქვეყნების უმრავლესობამ არათუ იგივეთი არ უპასუხა საქართველოს, არამედ ინფორმაცია კი არ მიგვიღია, რომ ცნობად მაინც მიიღეს ჩვენი ეს გადაწყვეტილება. არც ერთი თავმოყვარე ქვეყანა ამას არ უნდა აკეთებდეს. ასე რომ, არ არის გამორიცხული, მთელ რიგ ქვეყნებთან ეს მიდგომა შევცვალოთ. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ამ ქვეყნიდან არც ტურისტის და არც ეკონომიკური ინვესტიციების შემოდინება არ ხდება. გარდა ამისა, როცა ასეთი ვითარებაა მსოფლიოში, ჩვენ უნდა გავზარდოთ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

საოკუპაციო ხაზთან არსებული ვითარება იყო კიდევ ერთი აქტუალური საკითხი მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე. მაია ფანჯიკიძის აზრით, ჟენევის დისკუსიების მორიგ რაუნდზე გაირკვევა, საოკუპაციო ხაზთან მიმდინარე ქმედებები ვისი ბრძანებით ხორციელდება.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებით, შიდა ქართლში განხორციელებული პროცესები, შესაძლოა, რომელიმე კერძო პირის ინიციატივაა და არა ოფიციალური მოსკოვის გადაწყვეტილება.

ეთანხმება თუ არა საგარეო საქმეთა მინისტრი პრემიერის ამ განცხადებას?

ამ კითხვის საპასუხოდ ფანჯიკიძე აცხადებს:

– ეს არის ჟენევის დისკუსიების საგანი. იქ გაირკვევა, არის გაუგებრობა, ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილება თუ ცალკეული ჯგუფების სურვილი, ასევე, ვინ არის ავტორი ბრძანებისა, რომელიც, ცხადია, მოსკოვიდან მოდის, თუმცა ეს, შესაძლოა, იყოს კონკრეტული ჯგუფის, ადამიანების ინიციატივა და არ ასახავდეს მთლიანად რუსეთის ხელისუფლების მიდგომას, – განაცხადა ფანჯიკიძემ და აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ჟენევის დისკუსიების მორიგ რაუნდზე ამ საკითხში მეტი სიცხადე შევა, საქართველოს ხელისუფლება გადაწყვეტს, შეიმუშავებს თუ არა სხვა რეაგირების სტრატეგიას, იმის გარდა, რაც აქამდე განახორციელა საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირების კუთხით.

მინისტრისთვის უცნობია, ამ წუთებში რა ვითარებაა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, თუმცა აცხადებს, რომ საქართველო არავითარ შემთხვევაში პროვოკაციაში არ ჩაებმება და პრობლემის დიპლომატიური გზებით გადაწყვეტას შეეცდება.

კვლავ აქტუალურია კითხვა, პრემიერ-მინისტრი რატომ აყოვნებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტს.

საგარეო საქმეთა მინისტრს ზუსტი პასუხი არ აქვს, გაიმართება თუ არა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტი საპრეზიდენტო არჩევნებამდე, თუმცა აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრი ამერიკას წელს ეწვევა.

– მოგეხსენებათ, ამერიკის შეერთებული შტატებიდანაც ველით მაღალი დონის ვიზიტს. ამერიკაში ყოფნისას სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი საქართველოში დავპატიჟე, რაზეც თანხმობა მივიღე. ეს ყველაფერი კომპლექსურად უნდა გადაწყდეს და დაიგეგმოს. ამ ორ ვიზიტს შორის უნდა იყო გარკვეული დრო და დისტანცია დაცული. ახლა ის პერიოდია, როდესაც ეს ვიზიტები უნდა დაიგეგმოს და გადაწყვეტილება მოგვიანებით გახდება ცნობილი, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

საგარეო უწყების ხელმძღვანელს ჟურნალისტებმა „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაზეც ჰკითხეს პოზიცია.

მინისტრი „ნიუ-იორკ თაიმსის“ საქციელს ამორალურს უწოდებს.

ფანჯიკიძე ამბობს, რომ მას აღარ უკვირს საერთაშორისო პრესაში გამოქვეყნებული სხვადასხვა გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე დაფუძნებული სტატიები.

– მე მინდა, გაოცება, აღშფოთება გამოვთქვა იმის თაობაზე, თუ ისეთი გავლენიანი გაზეთები როგორებიც არიან – „ნიუ-იორკ თაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“ და სხვა, რატომ ავრცელებენ გადაუმოწმებელ და შეუმოწმებელ ინფორმაციებს ამა თუ იმ ქვეყანაზე. მე ვიყავი ნიუ იორკში, როდესაც გავიგე ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის ამბავი. მეორე დღეს „ნიუ-იორკ თაიმსში“ სრულიად აღმაშფოთებელი სტატია გამოქვეყნდა იმის თაობაზე, ვითომდა როგორ უყურებენ ავღანელები ჩვენს ჯარისკაცებს. ეს იყო აღმაშფოთებელი, ამორალური საქციელი სტატიის ავტორების მხრიდან. როდესაც მთელი ქვეყანა 7 ახალგაზრდის დაღუპვას გლოვობს, სრულიად წარმოუდგენელია ასეთი სტატიის გამოქვეყნება. ასევე საეჭვოა ის წყაროები, რომელთაც ისინი იშველებენ. რომც არსებობდეს ასეთი ერთეული წყარო, საყოველთაო გლოვის დღეს მსგავსი შინაარსის მასალის გამოქვეყნება ამორალურია. საზღვარგარეთ ქართველი ჯარისკაცების მე მხოლოდ ქება მსმენია. აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, არ მიკვირს, სხვადასხვა მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული გადაუმოწმებელი ინფორმაციები და დასაშვებად მიმაჩნია, მათ მიკერძოებული წყაროებიდან ჰქონდეთ ეს თუ ის ინფორმაცია, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

პირველი დიპლომატი ჩვენ მიერ დასმულ კითხვას, რამდენად მოსალოდნელია, 2014 წლის ნატოს სამიტზე საქართველომ მაპი მიიღოს? მინისტრს იმედიანი პასუხი აქვს.

ფანჯიკიძე იმედოვნებს, რომ „ნატო საქართველოს წინსვლას ადეკვატურ შეფასებას მისცემს, რაც შეიძლება, მაპ-ში გამოიხატოს“.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, 2014 წლის ნატო-ს სამიტზე მაპი-ს მიღების შანსი რეალურია.

– ჩემი მოლოდინი 2014 წლისთვის საკმაოდ დიდია და უკავშირდება იმ პროგრესს, რომელსაც საქართველო აღწევს. მიმდინარე თვეს დაგეგმილია ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მე-3 ვიზიტი საქართველოში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. აღნიშნული ვიზიტის შემდეგ ბათუმში თავდაცვის საკითხებზე კონფერენცია გაიმართება. ჩვენი მოლოდინი უკავშირდება არა მარტო ავღანეთის ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობას, არამედ იმ რეფორმებს, რომელიც ქვეყანაში განხორციელდა. ვიმედოვნებ, რომ ნატო ამას ადეკვატურ შეფასებას მისცემს, რაც შეიძლება მაპ-ით გამოიხატოს, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ბიძინა ივანიშვილი: „რატომ დააანონსმა პრეზიდენტმა ავღანეთში ჩასვლა ერთი თვით ადრე?“

ნათია ხურცილავა

შვიდთვიანი პაუზის შემდეგ პრეზიდენტმა რიგით მეორე უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია. სხდომაზე დასწრებაზე პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ისევ უარი განაცხადა. ამჯერად პრემიერმა მიზეზად დღის წესრიგისადმი მისი ნაკლებ ინტერესი დაასახელა.

როგორც ცნობილია, უშიშროების საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის – აისაფის ოპერაცია და ინტერნეტ სივრცეში „ჯიჰადის“ სახელით ატვირთული ვიდეოების წარმომავლობის საკითხის განიხილა.

ივანიშვილის განცხადებით, უშიშროების საბჭოს სხდომას საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია დაესწრებიან.

– ჯერ უნდა დავრწმუნდე და საკითხები უნდა იყოს ისეთი, რომ აუცილებელია და სასწრაფოდ მისასვლელია. მერე უნდა დავრწმუნდე, რამდენად ქმედითუნარიანია ეს სტრუქტურა და მომავალში – რატომაც არა. უნდა დავრწმუნდებით, რომ საკითხები ისმება არა საკითხებისთვის და არა იმისთვის, რომ შეკრება მოხდეს. სამი მინისტრი მიდის და სამივეს აქვს ძალიან ბევრი შეკითხვა პრეზიდენტთან და ბოკერიასთან და ვნახოთ, რა შედეგები იქნება, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ყველამ კარგად იცის, „თალიბების“ სახელით გავრცელებული ვიდეოების მსგავსი ფილმების გამკეთებელი ვინ არის.

– გახსოვთ „ვერის უბნის მელოდიები?“ – აი, შუბას რომ მოიპარავენ – „ჩვენ ვიცით, ამ უბანში ვინ არის ამის შემძენიო“. ჩვენ განა არ ვიცით, ასეთი კადრების გამკეთებელი ვინ არის? თუ ამაზე საუბარია, თუმცა, მე არ გამოვთქვამ ეჭვს, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს, მაგრამ, თუ წინასწარ ეჭვებზეა საუბარი, რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდი მსგავსი თემებით არასოდეს ყოფილა დაკავებული და, შესაბამისად, თუ ვინმეს ეჭვი აქვს, მისი პრობლემაა და ეს არ არის გუნდის პრობლემაა. არავითარი დასკვნების გაკეთებას არ ვაპირებ. ეს მათი ხელწერაა. ისინი ახერხებდნენ მსგავსი ფილმების გაკეთებას, გავრცელებას, მოდელირებული ქრონიკა და მსგავსი რაღაცები ჰქონდათ მათ. ეჭვის საფუძველს იძლევა და არა მეტი, უნდა დაველოდოთ გამოძიებას. გამოძიება აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის ფედერალურ ბიუროსთან. ფაქტი, რომ ეს საქართველოში დაიდო, ძალიან ბევრ კითხვას ბადებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ძალიან ცუდი იყო, როდესაც ის ჩანაწერები გააკეთა პრეზიდენტმა, რომელმაც ერთი თვით ადრე განაცხადა ასეთ ზონაში ჩასვლა და მეორე, ცუდი იყო, როცა მისივე ტელევიზია ამას აჩვენებს. ეს არ იყო კორექტული, ამას ბევრი ექსპერტი ამბობს და მეც ვეთანხმები, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა უშიშროების საბჭოს სხდომის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე იმ კითხვების შინაარსზე გააკეთა განცხადება ჟურნალისტებთან, რომლებიც მინისტრებს ექნებოდათ სხდომაზე.

– ალასანიას აქვს შეკითხვა პრეზიდენტთან, რატომ არის აუცილებელი, რომ პრეზიდენტმა ღამის ერთი თვით ადრე დააანონსა ავღანეთში ჩასვლა. ასეთ ზონებში ჩასვლა ასე არ ხდება. გაურკვეველი კადრები, რომელიც მისმა ტელევიზიამ, „რუსთავი 2“-მა გაავრცელა. ის არ მალავს ჩემთან რომ „რუსთავი 2“ მისია, თქვენთან რატომღაც ვერ ახერხებს, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის თქმით, შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილს ქვეყნის პირველ პირთან ექნება შეკითხვა „თალიბების“ სახელით გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებთან ასევე ისაუბრა მაია ფანჯიკიძის კითხვებზე, რომლებიც მან პრეზიდენტს დაუსვა.

– ფანჯიკიძე მიდის ამ შეკრებაზე. მას აქვს შეკითხვები, რატომ არ თანამშრომლობს პრეზიდენტი საკუთარი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. რატომ უშლის ამდენ ხანს ელჩების დანიშვნის პროცესს ხელს. მინდა, გამოვეხმაურო თედო ჯაფარიძის ბოლოდროინდელ განცხადებას, რომელმაც, განაწყენებულმა, უარი თქვა ელჩობაზე, რამეთუ რამდენიმე თვის განმავლობაში აზრსაც არ გამოთქვამს ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტი. ასეთი კითხვები აქვს ფანჯიკიძეს და კიდევ ის, რომ მოძრაობს ეს კაცი ერთ პირში. რისთვის დადის, სად დადის, ეს ყველაფერი შეთანხმებული უნდა იყოს. თუ ის ქვეყნის პრეზიდენტია, მან უნდა ითანამშრომლოს სამინისტროებთან, – განაცხადა ივანიშვილმა.

ჯოზეფ კეი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დაბრუნებას ითხოვს

ნათია ხურცილავა

ბიზნესმენმა ჯოზეფ კეიმ გუშინ პრესკონფერენცია გამართა. მან თავის მომავალ საქმიანობაზე ისაუბრა. კეი იმედოვნებს, რომ მალე დაბრუნდება.

– მე ვარ ქართველი. დავიბადე საქართველოში, თბილისში. აქ ვარ გაზრდილი და მეამაყება, რომ ქართველი ვარ. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენ ენაზე ვსაუბრობ, სად ვცხოვრობ. მენატრება ჩემი სამშობლო. აქ იმ მიზნით ჩამოვედი, რომ ჩემი ქვეყნისთვის ყველაფერი გამეკეთებინა, რაც შემეძლო. დავიწყე ამის განხორციელება, თუმცა, სამწუხაროდ, 2 წლით შემაფერხეს. იმედი მაქვს, მალე დავბრუნდები და კვლავ გავაგრძელებ იმ კეთილი საქმეების კეთებას, რომლებიც, ჩვენდა უნებურად, შეაფერხეს. – განაცხადა კეიმ.

კეის თქმით, მას შემდეგ, რაც რუსთვის მეტალურგიული ქარხანა წაართვეს, არავითარი სოციალური პროექტი არ განხორციელებულა.

– სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც კრიმინალურმა დაჯგუფებამ ქარხნიდან გამოგვაძევა, არავითარი სოციალური პროექტი არ განხორციელებულა. ეს, ალბათ, ასეც იყო გამიზნული. ნამდვილად მაქვს იმედი, რომ ეს ხელისუფლება არავის არავითარ კრიმინალურ ქმედებას არ შეარჩენს, – განაცხადა კეიმ.

ბიზნესმენმა ჯოზეფ კეიმ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დასაბრუნებლად სამართლებრივი ბრძოლა დაიწყო.

– 2011 წლის 6 ივლისს ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, ტელეკომპანია „იმედზე“ დავის შეწყვეტის სანაცვლოდ სააკაშვილის ხელისუფლებამ ინა გუდავაძეს ჩემი ქარხანა გადასცა. იმავე დღეს შეიარაღებული სპეცრაზმი ქარხანაში შეიჭრა. ჩემს ქონებას კრიმინალურად შემოსული ჯგუფი დაეპატრონა. კრიმინალური და ძალადობრივი ქმედებებით, ფინანსური მაქინაციებით, მაშინდელი სახელმწიფო მანქანის ტოტალური მხარდაჭერით, მათ ჩემი კომპანიები გააკოტრეს და „ქართული ფოლადისა“ და „თუჯი XXI“-ის აქტივები ორი დღით ადრე შექმნილ შპს „რუსთავის ფოლადს“ გადასცეს. ჩემს მეტალურგიულ ქარხანას დღეს ეს კომპანია აკონტროლებს, – განაცხადა კეიმ.

კეის განცხადებით, ის სამართლებრივ ბრძოლას აწარმოებს და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის უკან დაბრუნებას ითხოვს.

დავით უსუფაშვილი: „ვიდეომასალის ავტორი აუცილებლად უნდა დაისაჯოს“

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, ინტერნეტსივრცეში სკანდალური ვიდოკლიპების გავრცელებას ეხმაურება და იმედოვნებს რომ ამ ვიდეოს ავტორს შინაგან საქმეთა სამინისტრო მალე მიაკვლევს.

„გამოძიება ამერიკელ პარტნიორებთნ მჭიდრო კოორდინაციით მიმდინარეობს, საქმეში ჩართული არიან იმ ქვეყნების სათანადო უწყებებიც, რომლებსაც, სამწუხაროდ ტერორიზმთან ბრძოლის მდიდარი გამოცდილება აქვთ.

როგორც ვიცი, გამოძიების პროცესში პროგრესი არის, თუმცა უფრო დეტალურ ინფორმაციას მოგვიანებით მივიღებთ, რადგან საქმის დეტალების გასაჯაროება ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის. მსგავსი მოვლენები არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს, მიუხედავად იმისა, რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს ის და ვის მიერაც არ უნდა იყოს გაკეთებული“– განაცხადა უსუფაშვილმა

ნიუსპრესი

ავღანეთში ქართულმა ქვედანაყოფებმა კონტრ-ზომები შეიმუშავეს

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის წარმომადგენლები ავღანეთში იმყოფებიან.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტრის დავალებით, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, საქართველოს გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ლაშა ბერიძე, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი კახა ჩიხრაძე, აღმოსავლეთ ოპერატიული დაჯგუფების სარდალი ვიცე-პოლკოვნიკი გრიგოლ ჭელიძე და აღმოსავლეთ ოპერატიული დაჯგუფების საინჟინრო ბრიგადის შტაბის უფროსი ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა შავგულიძე ჩავიდნენ.

მათ ჰელმანდის პროვინციაში მდებარე ქართული ბაზები მოინახულეს. საქართველოს შეიარაღებული ძალების 42-ე და 33-ე ბატალიონების მეთაურებმა საქართველოს გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობას ადგილზე არსებული მდგომარეობა აუხსნეს.

„მოწინააღმდეგის ძლიერი აქტივობისა და ახალი ბრძოლის ტაქტიკის შემოტანასთან ერთად ქართულმა ქვედანაყოფებმა კონტრ-ზომები შეიმუშავეს. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს ქართული ბაზების გაძლიერებისთვის საჭირო დამატებითი საინჟინრო სამუშაოები“ – განაცხადა ბერიძემ.

ნიუსპრესი

დავით დარახველიძე პირველი ოფიციალური ვიზიტით ბაქოში იმყოფება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი დავით დარახველიძე პირველი ოფიციალური ვიზიტით ბაქოში იმყოფება.

მინისტრი და მისი მოადგილე ნინო ჭავჭავაძე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერს, ასევე დევნილთა და ლტოლვილთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ალი ჰასანოვს შეხვდნენ.

ვიზიტის ფარგლებში მინისტრმა ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის საფლავი და შეხიდების საფლავები გვირგვინით შეამკო და მათ ხსოვნას პატივი მიაგო. შემდეგ კი მილი მეჯლისის კომიტეტში დევნილთა და ლტოლვილთა საკითხებზე შეხვედრა გაიმართა.

როგორც მინისტრმა განაცხადა, შეხვედრაზე მათ განიხილეს დევნილთა და ლტოლვილთა და თანამშრომლობაზეც შეთანხმდნენ.

მისივე თქმით, საქართველოს მსგავსად, დევნილებისა და ლტოლვილების პრობლემა აზერბაიჯანსაც წლებია აწუხებს. მათ მილიონამდე დევნილი და ლტოლვილი ჰყავთ ქვეყანაში და მათი საცხოვრებელი პირობების მოგვარების მრავალწლიანი გამოცდილებაც გააჩნიათ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დევნილთა პრობლემის მოგვარებას აზერბაიჯანში ხელს უწყობს, დევნილთა სახელმწიფო კომიტეტის ბიუჯეტია, რომელიც 800 მილიონ დოლარს აღწევს.

„აზერბაიჯანს სერიოზული შედეგები და წინსვლა აქვს ამ მიმართლებით. მათ ერთ მილიონიანი დევნილებისა და ლტოლვილების საცხოვრებელი პირობებისა და უზრუნველყოფის საკითხები თითქმის გადაწყვიტეს. გაგვიზიარეს გამოცდილებ , გვაჩვენეს, თუ რა პირობებში ცხოვრობდნენ მათი დევნილები. ახლა კი მიკრო ქალაქები აუშენეს მათ. ეს პროცესი გრძელდება. მათ გამოთქვეს სურვილი ჩვენთან თანამშრომლობის, პარტნიორობის , ურთიერთობის გაღრმავების“,-აღნიშნა დავით დარახველიძემ.

მედიანიუსი

ზაზა გაბუნია: „ბიუჯეტიდან გამოყოფილი მილიონობით ლარის მიუხედავად, თბილისელები დატბორილ ქალაქში ცხოვრობენ“

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ზაზა გაბუნიას განცხადებით, თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური არაეფექტურად მუშაობს.

მისი ინფორმაციით, 2010 წლიდან დღემდე, კეთილმოწყობის სამსახური 194 მილიონ 831 ათას 700 ლარით დაფინანსდა, საიდანაც ათეულობით მილიონი ლარი სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების გამართვისთვის გამოიყო.

დეპუტატის თქმით, მაღალი ფინანსური მხარდაჭერის მიუხედავად, ვითარება იგივეა და წვიმების სეზონზე თბილისი კვლავ იტბორება, რაც ქალაქის პარალიზების მიზეზი ხდება.

გაბუნია, მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს ხვალ ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სხდომაზე იწვევს და ითხოვს, რომ სამსახურის უფროსმა დეტალური ინფორმაცია წარმოადგინოს ფინანსების ხარჯვის და არსებული პრობლემის მიზეზების შესახებ.

ნიუსპრესი

გელა ნიკოლაიშვილი: „სასამართლო შედარებით თავისუფალი იქნება“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

– ბატონო გელა, როგორც იურისტი, როგორ შეაფასებდით იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტებას. საკმაოდ ბევრია უკმაყოფილო და აზრიც ორად გაიყო. თქვენ რას ფიქრობთ ყოველივეზე?

– ერთი შეხედვით, რა თქმა უნდა, არსებობს უკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან ფაქტიურად იგივე ხალხი მოიყვანა კოტე კუბლაშვილმა, ვინც მას სურდა და ვინც ამ წლების განმავლობაში მის დავალებებს უსიტყვოდ ასრულებდა. ანუ თანამონაწილე იყო იმ დანაშაულებრივ მიდგომებში სასამართლოსადმი, როგორიც იყო ამ 9 წლის განმავლობაში. თუმცა ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვითარება იცვლება, თუნდაც ის ექვსი თუ ხუთი კაცი იუსტიციის საბჭოში, ამინდს გარკვეულად შეცვლიან. მთლიანად გარემოა შეცვლილი ქვეყანაში, არ არის ერთპარტიული დიქტატურა, ერთპარტიული მმართველობა და გარკვეულწილად შეიძლება, აი, ასეთი ძალთა ბალანსი და ასეთი განლაგება, როდესაც სასამართლო მაინც არის არაკონტროლირებადი ძალის, ანუ ქართული ოცნების და არ დაემორჩილება თავიდან ბოლომდე ხელისუფლებას, შესაძლოა, ამან დადებითი როლიც ითამაშოს. მეორე მხრივ, იმის საფრთხე, რომ რაც აქამდე იყო, თავიდან ბოლომდე ნაციონალური მოძრაობის სატელიტი იქნება და უსიტყვოდ ჯიბეში ეყოლება ჩასმული, ამის საფრთხე, მე ვფიქრობ, აღარ არსებობს. რაც დრო გავა, ნაციონალური მოძრაობა თავის გავლენას დაკარგავს და ოქტომბრის შემდეგ შესაძლოა ის საერთოდ დაიშალოს. აქედან გამომდინარე ცალკე სასამართლო, შედარებით დამოუკიდებელი და არავის ჯიბეში ჩასმული, შესაძლოა იყოს საქმისთვის უკეთესი და იმის განმეორების საფრთხე აღარ იყოს, რაც ამ 9 წლის განმავლობაში იყო. მე ვგულისხმობ იმას, რომ ამჯერად „ქართულ ოცნებას“ არ მოუნდეს, პროკურატურამ ჩაისვას ჯიბეში სასამართლო, ისე, როგორც ჰყავდა ჩასმული ნაციონალურ მოძრაობას.

– ფიქრობთ, რომ სასამართლო შედარებით დამოუკიდებელი იქნება?

– დიახ, შედარებით დამოუკიდებელი იქნება. ამას თავისი მიზეზები აქვს არა იმიტომ, რომ ის პიროვნებები შეიცვალნენ, ვინც აქამდე მოქმედებდნენ, დღესაც იგივე შემადგენლობაა უმრავლესობით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. არამედ იმიტომ, რომ გარემო შეიცვალა. აღარ არსებობს ერთპარტიული დიქტატურა და შესაძლოა ნაციონალური მოძრაობა საერთოდაც აორთქლდეს და თუ დარჩა, გავლენა საერთოდ აღარ ექნება და აქედან გამომდინარე, სასამართლო პოლიტიკურ დაკვეთებს აღარ შეასრულებს და აი, ეს არის მთავარი.

– კი მაგრამ, ეს ძველი სახეები რამდენად გამოსწორდებიან?

– რა თქმა უნდა, ამის ილუზია არავის არა აქვს ალბათ. ისინი იმოქმედებენ სიტუაციის შესაბამისად. მთავარი ის არის, რომ სიტუაცია იცვლება. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ამ ადამიანებს, ამ მოსამართლეების აბსოლუტურ უმრავლესობას, არც ერთს არ აკლია კვალიფიკაცია, მათ აკლიათ სულ სხვა რამ. აკლიათ თავისუფლება, აკლიათ სინდისი და პოლიტიკური ნება, რომ დამოუკიდებლად იმოქმედონ. ეს კარგად გამოჩნდა მოსამართლეთა კონფერენციის დროსაც, როდესაც შესთავაზეს, რომ თქვენ დაამტკიცეთ დღის წესრიგი, თქვენ შემოგვთავაზეთო და მათ უთხრეს, არა, ჩვენ რასაც გვთავაზობს უფროსობა, იმას ვიზიარებთ უსიტყვოდო. ეს აქედანაც გამოჩნდა. თუმცა, როდესაც კვალიფიცირებული ადამიანი ისეთ გარემოში ექცევა, რომ მას აქვს საშუალება დამოუკიდებელი იყოს, აქ კიდევ არ იყო ამ კონფერენციაზე ეს გარემო და ალბათ ამიტომაც მოხდა ეს. თუ ისინი რეალურად დაინახავენ, რომ მათი ბატონი, მათი თითის მქნეველი და მათი ჯიბეში ჩამსმელი არც ხელისუფლებაა და ვეღარც ნაციონალური მოძრაობა, მაშინ რაღაცა შანსი მათ ეძლევათ, რომ შეიცვალონ, რაღაცა დაიხვეწოს მათში და თქვან, რომ ამჯერად მომგებიანი არის მართლაც დამოუკიდებლად მოქმედება. არ არის ეს გამორიცხული.

– ბატონო გელა, კუბლაშვილის ფაქტორს რაც შეეხება?

– კუბლაშვილის ფაქტორი რჩება, მაგრამ კუბლაშვილი არც პოლიტიკური ფიგურაა და არც არაფერი. კუბლაშვილი მოიყვანეს და დასვა ნაციონალურმა მოძრაობამ და თუ პატრონები აღარ ეყოლება კუბლაშვილს, თვითონ კუბლაშვილიც შესაძლოა გახდეს იმის მოწმე, რომ მას გარანტიები მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება ხელშეუხებლობის, თუნდაც მას შემდეგ, რაც ვადა გაუვა, თუ ის იქნება დამოუკიდებელი. ანუ ის ამოხტება ნაციონალური მოძრაობის ჯიბიდან. მით უმეტეს, დღეს ეს ჯიბე ფიგურალურად რომ ვთქვათ, გახსნილია და „ზმეიკით“ ან ღილებით შეკრული აღარ არის. ეუბნებიან, ა, ბატონო, თავისუფალი ხარ. თუ ის ამ ჯიბეში ჩარჩა, მაშინ ჩაიხრჩობა შიგ, უჰაერობით გაიგუდება.



– რაც შეეხება მოსამართლეების უვადოთ დანიშვნის წესს? როგორც ვიცი, თქვენ ამ წესს არ ეთანხმებოდით...

– ზოგადად უვადოდ არჩევა, რა თქმა უნდა, გარანტია არის დამოუკიდებლობის, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ის, რაც ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყნებში არის ძალიან ჩვეულებრივი და მისაღები, ჩვენთან უკუღმა ხდება. მაგალითისთვის გეტყვით, დემოკრატიულ ქვეყნებში დამოუკიდებლობის გარანტია არის მაღალი ხელფასი, სოციალური დაცულობა, სახელმწიფო ხელშემწყობი პირობები და ყველანაირად მაღალი სოციალური სტატუსით და საზოგადოებრივი ნდობის მანდატით. ჩვენთან ეს ფაქტორები, სამწუხაროდ, იქცა არა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიად, არამედ მათი დამონების გარანტიად, იმიტომ, რომ იმ ხელისუფლებას ჰქონდა ასეთი მიდგომა, რომ აი, ჩვენ ამ ყველაფერს გაძლევ შენ, მაგრამ გაძლევ არა იმიტომ, რომ იყო დამოუკიდებელი, არამედ გაძლევთ იმიტომ, რომ იყო მონა. როგორც კი მონა არ იქნები, ამ სიკეთეებს დაკარგავ. მაგალითებიც უჩვენეს, აგერ ტურავა, გვენეტაძე, ლალიაშვილი, მისაევი და სხვა მოსამართლეები უბრალოდ გამოყარეს იქიდან და სხვებს უთხრეს, რომ თქვენც ეს ბედი მოგელით თუ არ დაგვემორჩილებით. ამიტომაც ვამბობ, რომ თუ იქნება ნორმალური პოლიტიკური და სოციალური გარემო, რა თქმა უნდა, უვადოდ არჩევა იქნება მათი მეტი დამოუკიდებულობის და ობიექტურობის გარანტია. თუმცა, ვინაიდან დღეს მოქმედი მოსამართლეები ასეთ მოქმედებას მიჩვეულები არ არიან, დამოუკიდებლად ცხოვრებას და დამოუკიდებლად მოქმედებას, მე მახსენდება, როდესაც ბატონყმობა გადავარდა რუსეთში, გლეხები ტიროდნენ, რატომ გვტოვებთ უპატრონოდ, ჩვენ პატრონი გვინდაო. მოსამართლეები დაახლოებით ამ მდგომარეობაში არიან, მოქმედი მოსამართლეები, რომლებიც მონობაში ყოფნას არიან მიჩვეულნი. მე წინააღმდეგი ვარ, რომ ეს მოსამართლეები, ასეთ ყოფას და ასეთ მოქმედებას მიჩვეული მოსამართლეები, არ დაინიშნონ უვადოდ იმიტომ, რომ ეს ისევ მათი დამონების გარანტია იქნება. თორემ, ზოგადად, ახალი მოსამართლეები თუ დაინიშნებიან უვადოდ, თავისი უმწიკვლო რეპუტაციით, მაღალი პროფესიონალიზმით და მიუკერძოებლობით, რა თქმა უნდა, ეს კარგი იქნება, ოღონდ ეს მომავალში.

– ბატონო გელა, თქვენ სასამართლოდან გამოყრილი მოსამართლეები ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, მათი დაბრუნების საკითხიც ხომ არ დადგება დღის წესრიგში?

– მე, მაგალითად, მივესალმებოდი ამ გადაწყვეტილებას იმიტომ, რომ მათ დაამტკიცეს, რომ არა მხოლოდ მაღალი რეპუტაციის მქონე და წესიერი ადამიანები არიან, თუნდაც ამ წლების განმავლობაში არც ერთი მათგანის მხრიდან არ ყოფილა რაიმე რეპუტაციის შემლახავი ქმედება და ამასთან ერთად, არიან ძალიან მაღალი პროფესიონალებიც. მე პირადად მივესალმებოდი თუ ისინი დაბრუნდებოდნენ სასამართლო სისტემაში.

– ბატონო გელა, სამართლიანობის აღდგენის საკითხს რაც შეეხება, საზოგადოება განაწყენებულია და უკმაყოფილებას არ მალავს იმის თაობაზე, რომ მხოლოდ მერაბიშვილის დაკავებით შემოიფარგლა ხელისუფლებაო... თქვენ როგორ ფიქრობთ, გაგრძელდება მაღალჩინოსნების დაკავების პროცესი?

– მე ვფიქრობ, რომ გაგრძელდება. იმიტომ, რომ დამნაშავე არის ძალიან ბევრი და ის ოდიოზური დამნაშავე, გამოკვეთილი, საკმაოდ ბევრია. ახლა ჩვენ ძალიან ბევრს ვერ მივწვდებით და ათასობით ადამიანს მართლა ვერ ვაგებინებთ პასუხს, თორემ თეორიულად რომ ვიმსჯელოთ, ძალიან ბევრი იმსახურებს პასუხისგებაში მიცემას. ის ოდიოზური ფიგურები აუცილებლად უნდა იყვნენ პასუხისგებაში მიცემულნი, მე ვსაუბრობ რამდენიმე ათეულ ადამიანზე. შეიძლება ეს ორი-სამი ათეული ადამიანი იყოს, მაგრამ თუ ამათ მაინც არ აგეს პასუხი სამართლებრივად, მაშინ ხალხში ეს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და უსამართლო გარემოს დარჩენის განცდა მაინც დარჩება ხალხში და მე ვფიქრობ, ამიტომ ეს პროცესი გაგრძელდება. მით უმეტეს, მტკიცებულებები და მასალები არის უამრავი და არა ორი და სამი ათეულის, არამედ ასეულობით ადამიანის მიმართ, მაგრამ ეს უკვე პროკურატურის საქმეა, ვის როგორ მოექცევა. თვითონ ეს ხალხიც როგორ მოიქცევა, ვინ სინანულს იგრძნობს, ვინ ითანამშრომლებს გამოძიებასთან, ეს უკვე იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად ადეკვატური სასჯელები შეეფარდებათ მათ.

– თანამშრომლობის შემთხვევაში, ფიქრობთ, რომ შეუმცირდებათ მათ სასჯელები?

– მე ვფიქრობ, ეს ძალიან ჩვეულებრივი ამბავია. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში თუ ისინი ღირებულ ინფორმაციას გასცემენ, ელემენტარულად შინაგანი მონანიების გრძნობა მაინც უნდა ჰქონდეს ადამიანს. ჩვენ ამას ვერ ვატყობთ ამ ხალხს, ისინი ისევ ყინჩად არიან და ისე მამლაყინწობენ, თითქოს ანგელოზები იყვნენ და ის უბედურობები, ქვეყანას რაც დამართეს, მათ არ დაუტეხიათ თავზე ამ ქვეყნისთვის. აქედან გამომდინარე ჯერჯერობით მე პირადად ვერ ვატყობ, რომელი მათგანის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას ეს შეღავათები. ვიმეორებ, რაც დრო გავა, რაც ოქტომბერი მოახლოვდება, ისინი თანდათან გაქრებიან პოლიტიკური არენიდან. ახლა ჯერ კიდევ რაღაცის იმედი აქვთ, ტყუილად, მაგრამ მაინც იმედი აქვთ, რომ აი, მათ სასიკეთოდ რაღაცა შემობრუნდება. სააკაშვილი ჯერ ისევ პრეზიდენტია, უგულავა ჯერ ისევ მერია, გუბერნატორები გუბერნატორობენ, გამგებლები მათ დავალებებს ასრულებენ და აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ აქვთ იმედი. რაც ყველაზე მთავარია, ფინანსები აქვთ მათ და ამ ფინანსებით ჯერ კიდევ აკავებენ თავიანთ მომხრეებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ოქტომბრის შემდეგ ყველაფერი დადგება თავის ადგილზე და ის რეალური მხარდაჭერა, რაც მათ აქვთ 5-10%-ის ფარგლებში, ალბათ ისიც განახევრდება.

„პატიმრებს დამპალ საჭმელს აჭმევდნენ“

გულიკო ბალაძე

არასამთავრობო ორგანიზაციები პენიტენციის სისტემაში არსებული მდგომარეობაზე თავიანთი დაკვირვების შედეგებს ასაჯარაოებენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოება – ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ამბობს, რომ პენიტენციურ სისტემაში ძირეული რეფორმები ხორციელდება და მისი პოზიტიური შედეგები, როგორც მოქალაქემ და როგორც უფლებადამცველმა, საკუთარ თავზე გამოსცადა.

– ჩვენი ორგანიზაცია 1 ოქტომბრის არჩევნებამდეც იყო ჩართული სასჯელაღსრულების სისტემის გარშემო მიმდინარე პროცესებში. უშუალო კონტაქტი გვქონდა პატიმრების ოჯახის წევრებთან, ვაანალიზებდით მათგან მიღებულ ინფორმაციას, იმხანად შექმნილი არაადამიანური, სავალალო მდგომარეობის სრულ სურათს ვფლობდით და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვითარება გამოსწორებულია, – აცხადებს მედეა კორკოტაშვილი.

მედეა კორკოტაშვილი აღნიშნავს, რომ ძალიან ბევრი რამ, რაზეც ახლა ხმამაღლა საუბრობენ (ვგულისხმობ პატიმრებისადმი მოპყრობას, აგრეთვე სასჯელაღსრულების სისტემაში ჩადენილ მძიმე დანაშაულებს), ჩვენთვის, უფლებადამცველებისთვის და, მეტწილად საზოგადოებისთვისაც, ცნობილი იყო, მაგრამ, ვინაიდან ამ დანაშაულებს ჰქონდა სისტემური ხასიათი, ისინი წარმოადგენდა, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო პოლიტიკის, ე.წ. ნულოვანი ტოლერანტობის ერთგვარ გაგრძელებას, რაიმე ქმედითი ღონისძიების გატარება, გარდა ამ ფაქტების გასაჯაროებისა და საზოგადოებრივი აზრის მოშველიებისა, ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული, – აღნიშნავს მედეა კორკოტაშვილი.

მედეა კორკოტაშვილის თქმით, სანამ ცნობილი ფირები დატრიალდებოდა, სასჯელაღსრულების სისტემა იყო შეუვალი ციხესიმაგრე, ჩაკეტილი ორგანიზაცია, საიდანაც ოფიციალურად ინფორმაციის მიღება ან სხვა რაიმე სახით პატიმრების მდგომარეობის მონიტორინგი და მათთან კომუნიკაცია შეუძლებელი იყო.

– სააკაშვილის რეჟიმის პირობებში არასამთავრობო ორგანიზაციებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, იქ შეეღწიათ. ახალი ხელისუფლებისა და ახალი ადმინისტრაციის პირობებში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. მნიშვნელოვანია, რომ ბატონი სოზარ სუბარის მინისტრად დანიშვნის შემდეგ შეცვლილია ზოგადი დამოკიდებულება სასჯელაღსრულების სისტემის მიმართ. ეს განსაკუთრებით იგრძნობა პატიმრების ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას. თუკი აქამდე ისინი სისტემის ადმინისტრაციას აღიქვამდნენ, როგორც ძალადობის ნაწილს, ვისგანაც მათი ახლობელი პატიმრებისადმი დაუფარავი აგრესია და საფრთხე მომდინარეობდა, დღეს ეს სურათი შეცვლილია. მათ არ ეშინიათ, რომ რომელიმე ბადრაგი ან ციხის უფროსი პატიმრების ცემის, „ნახევარი სიცოცხლის წართმევის“ ბრძანებას გასცემს, – აცხადებს უფლებადამცველი მედეა კორკოტაშვილი.



მედეა კორკოტაშვილს მიაჩნია, რომ ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი უმთავრესი როლი სწორედ ამ სფეროს მართებულ რეფორმირებას ენიჭება.

– ბევრი სასიკეთო ცვლილებაა, მაგალითად, რუსთავის №6 დაწესებულებაში. სასიკეთო ცვლილებები ამ დაწესებულების პატიმრებისა და მათი პატრონებისთვის ხელშესახები და საგრძნობი გახდა მას შემდეგ, რაც ამ დაწესებულების სათავეში მოვიდა დაწესებულების დირექტორი, ბატონი ალექსანდრე გიგანი და მისი გუნდი. შემიძლია, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პერსონალი არის ყოველთვის კორექტული და არ იქმნება ბიუროკრატიული ბარიერები პატიმრებისადმი კანონით და შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვადასხვა პროცედურის განხორციელებისას. ჩვენ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დანამდვილებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საპატიმროში ადგილი აღარ აქვს პატიმრების ცემას, წამებას, არაადამიანურ მოპყრობას და, რაც მთავარია, მკაცრად კონტროლდება მათთვის სათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევის საკითხი. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის თვალსაზრისით ვითარება მთლიანად გამოსწორებულია. თუკი ადრე, თვეობით ლოდინის შემდეგ ხდებოდა შესაძლებელი პატიმრის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა, ახლა ხელშეკრულებები დადებულია ქალაქის სხვადასხვა კლინიკასთან, სადაც უფრო საფუძვლიანად და კომპეტენტურად ხდება გამოკვლევების ჩატარება.

მედეა კორკოტაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ სწორედ სოზარ სუბარის მინისტრად დანიშვნის შემდეგ საგრძნობლად გამოსწორდა პატიმრების კვების რაციონი და ხარისხი.

– ბატონი სუბარის მოსვლის შემდეგ საგრძნობლად გამოსწორდა პატიმრების კვების რაციონი და ხარისხი. რაც მთავარია, სასჯელაღსრულების სისტემა გაცილებით გამჭვირვალე გახდა. როგორც მინისტრი, ასევე სხვა ჩინოვნიკები ხელმისაწვდომნი არიან არა მარტო უფლებადამცველი ორგანიზაციებისთვის, არამედ უშუალოდ პატიმრების ოჯახის წევრებისთვის. მნიშვნელოვნად გაადვილებულია საპატიმრო დაწესებულებების მონიტორინგი, პაემნის, აგრეთვე ამანათის მიწოდების, ადვოკატებთან ურთიერთობისა და რიგი სხვა პროცედურები. იმედი მაქვს, მინისტრი და მისი გუნდი რეფორმებს ბოლომდე განახორციელებენ.

– ქალბატონო მედეა, ანუ ყველაფერი გამოსწორდა, რაც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში პრობლემა იყო?

– სააკაშვილის ხელისუფლების დროს ის, რაც ახლა ჩვეულებრივად ხორციელდება, შეუძლებელი იყო. უფლებადამცველები ვერაფერს ვაკეთებდით იმ სისტემასთან ჭიდილში, რაც შექმნა ნაციონალურმა მოძრაობამ პენიტენციურ სფეროში. ახლაც თუ არ მოხდება სამართლიანობის აღდგენა, მაგაზეც აუცილებლად გვექნება რეაგირება, მაგრამ, როცა მაშინდელი გადასახედიდან ვუყურებ სიტუაციას, რასაკვირველია, საკმაოდ შეცვლილია ყველაფერი. ალბათ, 7 თვის განმავლობაში მეტი ვერ მოხერხდებოდა.

– მე ბევრი პატიმრის მშობელს შევხვედრივარ. ისინი საუბრობდნენ ძალიან რთულ ვითარებაზე, რომელიც შექმნეს მაშინ საპატიმროებში. ფაქტობრივად, ისინი გაწამებული იყვნენ, თავიან ახლობლებთან ურთიერთობის თვალსაზრისით იმდენად გართულებული იყო ყველაფერი. ადვოკატებს არ უშვებდნენ. ამ თვალსაზრისით ვითარება შეცვლილია?

– დიახ. ამას ადასტურებს მონიტორინგის შედეგები. ჯერ ერთი, ხელმისაწვდომი გახდა კომუნიკაცია. მოგეხსენებათ, ტელეფონით კონტაქტი ოჯახის წევრებთან მნიშვნელოვანია. ამ მხრივ ვითარება რადიკალურად შეცვლილია. ადრე 2 წუთით თუ დაგელაპარაკებოდნენ.

– თან, მგონი, თანამშრომელი იჯდა იქ და გისმენდა, რას დაელაპარაკებოდი და, ალბათ, საუბარი ისმინებოდა კიდეც.

– რა თქმა უნდა. სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, ალბათ, პატიმრების სატელეფონო საუბრები ისმინებოდა. ახლა ყოველგვარი დაძაბვისა და შიშების გარეშე რეკავენ პატიმრები და ელაპარაკებიან უფლებადამცველებსაც და პატრონებსაც. ისედაც, ზოგადად, როდესაც ესაუბრები, აშკარად იგრძნობა, რომ ის დაძაბულობა მთლიანად მოხსნილია.

– ერთ-ერთმა ადვოკატმა განაცხადა, ადრე თუ პატიმრებს ციხის თანამშრომლები აწამებდნენ, ახლა არის შემთხვევები, როცა პატიმრები მართავენ ციხესო. ამგვარი რამ თუ შეგიმჩნევიათ?

– არა. მოარული ხმები არსებობს, მაგრამ რეალური ინფორმაცია ამის თაობაზე არ მაქვს. მაგალითად, რუსთავის №6 საპყრობილე დახურული ტიპის დაწესებულებაა და ფიზიკურად ასე ვერც იქნება. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი პატიმრისაგან და არც ერთი პატიმრის პატრონისაგან მსგავსი რამ ჩვენს ორგანიზაციას არ გაუგია. ადრე ადვოკატებს ძალიან აწვალებდნენ. ადვოკატი ერთ პატიმართან რომ შევიდოდა, უნდა გამოსულიყო, რამდენიმე საათის განმავლობაში თავიდან უნდა დალოდებოდა და მერე შეუშვებდნენ მეორე პატიმართან. ფაქტობრივად, 1-2 დღე ამაში იკარგებოდა. ახლა უფრო ადვილად შედიან. პატიმრების რაოდენობაც შემცირებულია და უფრო ხელმისაწვდომია ყველაფერი. ადრე ყველას მიმართ (ადვოკატი იყო თუ სხვა) ფსიქოლოგიურ ზეწოლაც იყო.

– თვითონ პატიმრებს შორის როგორი ურთიერთობაა?

– ძალიან ნორმალური.

– ცოტა ხნის წინ ინფორმაცია გავრცელდა, რომ, მგონი, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ციხეში პატიმარი დაიღუპა. სხვადასხვა ვერსია ვრცელდება. მათ შორის, ამბობენ, პატიმრებს შორის ჩხუბი მოხდაო. თუ იცით ამის თაობაზე რაიმე?

– დასავლეთი საქართველოს ციხეების მონიტორინგი არ ჩაგვიტარებია. ამიტომ ჯერჯერობით არ ვიცი, რა მოხდა ხსენებულ შემთხვევაში. სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდება. არც გამოძიებაა დამთავრებული.

– ვითარების შეცვლა სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელობის დამსახურებაა?

– ზოგადად, კი. ალბათ, უფრო მინისტრის დამსახურებაა, იქიდან გამომდინარე, რა რეფორმასაც ატარებს. კვების რაციონთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ პატიმრები გაგიჟებული არიან. რამდენიმე პატიმართან მქონდა საუბარი და აქამდე თუ საერთოდ საკვების სუნსაც ვერ იტანდნენ, ახლა მიირთმევენ კიდეც იმ საკვებს, რადგან მკვეთრად შეიცვალა მათი ხარისხი.

– ადრე დამპალ საკვებს აწვდიდნენ?

– არ ვიცი. იმდენად ეშინოდათ, ტელეფონით მაგ ინფორმაციას ვერ მოგვაწვდიდნენ. როგორც ვიცი, ახლა ახალი ქსელი შევიდა და ახალი მაღაზიიდან უფრო ნორმალურ პროდუქტს ყიდულობენ. ჩემი დაკვირვებით, ნამდვილად მკვეთრად არის შეცვლილი ყველაფერი.

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღო



შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე

ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ზაქარია ჭ. ნარკოდანაშაულისათვის, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დიდი ოდენობით ნედლი მცენარეული მასა ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია „ოპიუმი“-ს შემცველი 2 კილოგრამი და 374 გრ დამაძინებელი ყაყაჩო. ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ ზაქარია ჭ. დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

წითელ ხიდზე ფსიქოტროპული ნივთიერება ამოიღეს

გუშინ საბაჟო გამშვებ პუნქტზე ,,წითელ ხიდზე“ აზერბაიჯანიდან საქართველოს მიმართულებით აზერბაიჯანის მოქალაქე ჯ. მ. შემოვიდა. საბაჟოს თანამშრომლებმა, ეჭვის საფუძველზე, დეტალურად დაათვალიერეს აღნიშნული პიროვნება და მისი კუთვნილი ხელბარგი. დათვალიერების შედეგად ხელბარგში აღმოაჩნდა ფსიქოტროპული საშუალება ღვიძლრილ (ცლონაზეპამ) 2 მგ, 64 აბი. საქმე შემდგომი რეაგირებისათვის კრიმინალურ პოლიციას გადაეცა.

მედიანიუსი

მეუღლისა და 5 წლის შვილის მკვლელი დააკავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა 1980 წელს დაბადებული გოჩა ფ. ოჯახის წევრების მკვლელობის ფაქტზე, მომხდარიდან რამდენიმე წუთში, შემთხვევის ადგილზე დააკავეს. დაკავებულმა თბილისში,საკუთარ საცხოვრებელ სახლში, მეუღლეს – 1983 წელს დაბადებულ თამუნა ბერუაშვილს და მცირეწლოვან შვილს – 2008 წელს დაბადებულ ნია ფ-ს. ცივი იარაღით სხეულზე მრავლობითი მძიმე დაზიანება მიაყენა.

დედა-შვილი მიყენებული ჭრილობებით ადგილზე გარდაიცვალა. მოგვიანებით, გოჩა ფ-მ თვითმკვლელობის მიზნით, დანის გამოყენებით, სხეულზე მრავლობითი დაზიანება მიიყენა. სამართალდამცველებმა დაკავებული სამედიცინო დახმარების მიზნით ღუდუშაურის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გამოძიება ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, სსსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

სომხეთის მოქალაქეს არადეკლარირებული საქონლის შემოტანის გამო ჯარიმა დაეკისრა

შემოსავლების სამსახურის ცნობით, დღეს თბილისის აეროპორტში, რეისით დუბაი-თბილისი, სომხეთის მოქალაქ ე. კ. ჩამოფრინდა. მგზავრს პირადი ბარგისა და კუთვნილი ნივთების დათვალიერებისას აღმოაჩნდა დაუდეკლარირებელი საქონელი – 46 ცალი მობილური ტელეფონი და 1 ცალი ტაბლეტური კომპიუტერი.

მოქალაქეს ე.კ.-ს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, შეეფარდა ჯარიმა 9349,36 ლარის ოდენობით.

მედიანიუსი

პოლიციამ განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის

სამხარეო მთავარი სამმართველოსა და წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სამძებრო ღონისძიების შედეგად, განზრახ მკვლელობისთვის, 2011 წლიდან ძებნილი საბა კ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა, 2011 წლის 29 იანვარს, წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩაზე 1986 წელს დაბადებულ გიორგი ჯიმშელეიშვილს ცივი იარაღის გამოყენებით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. ბრალდებული კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა საბა კ. ძებნილად გამოაცხადეს. ჩადენილი დანაშაულისთვის მას 9 წლითა და 9 თვით თვისუფლების

აღკვეთა იმავე წელს, დაუსწრებლად მიესაჯა. სამართალდამცველებმა ძებნილი მიმდინარე წლის 9 ივნისს ხაშურის რაიონის სოფელ გომში დააკავეს. საბა კ. ამ დროისთვის ქუთაისის სასჯელაღსრულების მე-2 დაწესებულებაშია გადაყვანილი.

ნიუსპრესი

ბავშვის გაუპატიურების მცდელობისთვის პოლიციამ 65 წლის კაცი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამ-

შრომლებმა, 4 წლის ბავშვის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედების ბრალდებით, 1948 წელს დაბადებული ჯემალ მ. დააკავეს.

ბრალდებულმა თავის საცხოვრებელ სახლში მოტყუებით შეიყვანა მცირეწლოვანი მეზობელი, – 2009 წელს დაბადებული ნინო ჩ. და მის მიმართ გარყვნილი ქმედება ჩაიდინა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯემალ მ. გურჯაანში, ნონეშვილის ქუჩაზე დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება არასრულწლოვანის მიმართ გარყვნილი ქმედების ჩადენის ფაქტზე, სსსკ-ის 141-ე მუხლით მიმდინარეობს. გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

ანდრო ბარნოვი: „პრემიერი და მთავრობა სიცრუეში გვაცხოვრებენ“

შორენა გონგლაძე

ინტერნეტში გავრცელებული მუქარის შემცველი ვიდეო კადრების წარმომავლობის დაუყოვნებლივ გამოძიებას მოითხოვს ნაციონალური მოძრაობა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, ანდრო ბარნოვის მიერ გუშინ გამართული პრესკონფერენციაც სწორედ ამ თემას მიეძღვნა. როგორც ანდრო ბარნოვი აცხადებს, მუქარის შემცველი ვიდეო კადრების წარმომავლობის გამოძიება უმოკლეს ვადებშია შესაძლებელი.

– თუმცა, ამის ნაცვლად, გრძელდება ის ჭორაობა, რომელიც პარლამენტის აპარატის მაღალი თანამდებობის პირებმა დაიწყეს და დღეს, სამწუხაროდ, თავად პრემიერმა გააგრძელა. საზოგადოებისათვის თვალებში ნაცრის შეყრა ივანიშვილის მთავრობისათვის საფირმო ნიშნად იქცა. ჩვენი პრინციპული პოზიცია გამყარებულია იმით, რომ აღნიშნული კლიპების ავტორები, ცხადია, მიზნად ისახავდნენ ზემოქმედებას და ქვეყნის დასავლური კურსის უკან შემობრუნებას. ამ ჯგუფის საქმიანობა არის ძალიან სახიფათო ქვეყნის ინტერესებისთვის და მათი განეიტრალება არის საქართველოს ეროვნული ინტერესების საკითხი, – აცხადებს ანდრო ბარნოვი.

როგორც ბარნოვმა განაცხადა, საუბარი იყო კოკა ყანდიაშვილის შესახებ და მის მიერ გავრცელებულ ჭორებზე, სადაც მან ამ კლიპების დამზადებაზე ხელი დაადო პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს.

– დღეს, პრაქტიკულად, იმავე ჭორებს იმეორებს პრემიერი და ხელს იშვერს გარკვეული ადამიანებისკენ, გარკვეული ჯგუფისკენ ისე, რომ მას ხელთ არ აქვს არანაირი ოფიციალური საფუძველი. საზოგადოებას მინდა შევახსენო, რომ პრემიერმა ზუსტად ასე დაადანაშაულა ნაციონალური მოძრაობა ფარესაშვილის ეპიზოდში, თუმცა შემდეგ საზოგადოებამ ნახა, რომ მთავარი გამავრცელებელნი აღმოჩნდნენ თავად პრემიერის გუნდის წევრები. ახლა პრემიერი სხვისკენ იშვერს ხელს, საფუძვლის გარეშე. მთავრობის დაინტერესება ხელის სხვაზე შეწმენდისთვის სახეზე იყო ფარესაშვილის ეპიზოდში და როგორც ჩანს, სახეზეა ახლაც. ეს უფრო გვიძლიერებს ეჭვებს, რომ პრემიერი და მთავრობა სიცრუეში გვაცხოვრებენ და საზოგადოებისათვის თვალებში ნაცრის შეყრა ივანიშვილის მთავრობისათვის საფირმო ნიშნად იქცა, – განაცხადა ანდრო ბარნოვმა, მისივე თქმით, ისინი არავითარ შემთხვევაში არ მისცემენ უფლებას ამ მთავრობას, რომ მიჩქმალონ ამ ვიდეოების საქმეები.

– ყველამ კარგად იცის, ვისი ხელწერაა ეს ვიდეო კლიპები და ვინ არის მათი დამზადებით დაკავებული. ჩვენ არაერთხელ მოვითხოვეთ ვიდეოებზე სწრაფი გამოძიება. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მოუწოდებს, რომ თუ პრემიერი მხოლოდ ჭორაობით არ არის დაკავებული და მას რაიმე ინფორმაცია აქვს, უშიშროების საბჭოს სხდომამდე გაავრცელოს. მისივე შეფასებით, უკიდურესად შემაშფოთებელია პრემიერის განცხადება, სადაც მან თქვა, რომ მისთვის უინტერესოა ის საკითხები, რაც დღეს უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს.

– ეს არის ორი ძირითადი საკითხი. ერთი შეეხება ჩვენს ოპერაციას ისააფ-ის მისიაში და უსაფრთხოების ზომებს. მეორე არის ამ ვიდეო კლიპების გავრცელება. პრემიერის განცხადება არ არის სახელმწიფოებრივი პოზიცია და ჩვენ ძალიან ვშიშობთ, საქართველოს ინტერესებს ბიძინა ივანიშვილი განიხილავს არა როგორც პასუხისმგებლობის, არამედ როგორც პირადი ომის სფეროდ, რაც საშიშია საქართველოსთვის, – აღნიშნა ბარნოვმა.

ბიძინა ივანიშვილი პარტიებს სჯის

თამარ ნინიძე

იმ დროს, როცა ნაციონალური მოძრაობა ერთადერთ ძლიერ ოპოზიციურ ძალად დაფიქსირებას ცდილობს და თავის მდგომარეობას იმით ამყარებს, რომ, საპარლამენტო უმცირესობის როლში მყოფი, გარკვეულ ქმედებებს თავად კარნახობს მმართველ კოალიციას, დროს ივანიშვილის ხელისუფლება და საპარლამენტო უმრავლესობა არასაპარლამენტო ოპოზიციას მძიმე ფინანსური პრობლემების წინაშე აყენებს.



არაკვალიფიციური სუბიექტები არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრები არიან, ვინც ბოლო არჩევნების დროს ბარიერი ვერ გადალახეს და გარეთ აღმოჩნდნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს პარტიები ხელისუფლებაში მყოფმა ძალამ და მასთან საეჭვო კოჰაბიტაციაში მყოფმა ე.წ. ოპოზიციამ ერთ ხმაში შეწყობილად გაანადგურონ.

დღეს უკვე არასაპარლამენტო ოპოზიცია აცხადებს, რომ დეკლარირებული განცხადებები კოალიცია „ქართული ოცნებისა“ არასაპარლამეტო ოპოზიციის გაძლიერების სურვილების შესახებ, მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და ამის უკან არანაირი საქმე არ დგას. სინამდვილეში ისეთი ვითარება იქმნება, რომ არც ქართულ ოცნებას და არც ნაცმოძრაობას არ სურთ გაძლიერებული სხვა ოპოზიციური ძალები იხილონ საარჩევნო რინგზე. არადა, ქვეყანაში ჯერ საპრეზიდენტო არჩევნებია და ერთი წლის შემდეგ ადგილობრივი არჩევნებისთვის მზადება იწყება, ეს კარგი შანსია ოპოზიციური პარტიებისთვის, რომ ქვეყნის მართვაში მონაწილეობა მიიღონ. დაფინანსების წყაროების შეზღუდვის და ალტერნატიული დაფინანსების მოძიების შესაძლებლობას მოკლებული პარტიები, ცხადია, სრულფასოვნად არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, „ქართულ ოცნებას“ კი საეჭვოა დანარჩენი ოპოზიციის მომავალი ადარდებდეს. სულ ცოტა ხნის წინ რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები, კონსერვატორები, ეროვნული ფორუმი, ის პოლიტიკური სუბიექტები იყვნენ, რომელთაც ფინანსური პრობლემები ჰქონდათ და სწორედ პარტიული დაფინანსების წყაროების მოძიებით იყვნენ დაკავებული. რომ არა ბიძინა ივანიშვილს გამოჩენა პოლიტიკურ სარბიელზე, ვეჭვობთ, რომ რომელიმე ამ ჩამოთვლილ პარტიათაგან ფინანსურად ისე ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილი, რომ დამოუკიდებლად მიეღოთ მონაწილეობა და რაც მთავარია, ბარიერი გადაელახათ ნებისმიერი ტიპის არჩევნებში.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ბიძინა ივანიშვილი გარკვეულ პარტიებს სჯის. მათ შორის კი არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილმა თავიდანვე შუაზე გაკრიფა. არსებობა ყველა მათგანს სურს და ამის სრული უფლებაც აქვს, მიუხედავად იმისა, პრემიერ-მინისტრი თავის თანაგუნდელებთან ერთად რას ფიქრობს ამა თუ იმ პარტიაზე და მის ლიდერზე. მეტიც, დღეს ზემოხსენებული ოთხივე პარტია თბილ სავარძლებში მოკალთებული, გარანტირებული მაღალი ხელფასებით და კომფორტის სხვა საშუალებებით, ტელეფონის ყურმილსაც კი არ იღებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ სავარძლებისთვის იბრძოდნენ და არა ადამიანების კეთილდღეობისთვის. ვინ რას ფიქრობს და როგორი მექანიზმებით აპირებს არასაპარლამენტო ოპოზიციის დახმარებას, ეს მათი საქმეა, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, რომ ივანიშვილს ის შეცდომები არ გაემეორებინა, რაც თავის დროზე დაუშვეს ზვიად გამსახურდიამ, ედუარდ შევარდნაძემ და მიხეილ საკაშვილმა. მათი მმართველობის პერიოდი ხასიათდებოდა შუაზე გაკრეფილებით ზვიადისტებით და ედუარდისტებით, წითელი ინტელიგენცია და პროვინციული ფაშიზმი, ასეთი ტერმინებიც შემოვიდა, იყვნენ მინისტები და დანარჩენი ჩარეცხილები. ახლა ივანიშვილი შუაზე გაკრეფილებად და ბიძინისტებად ყოფს ქვეყანას.

ახლახან კახა კუკავამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ პარტია ხარჯებს ვერ აუდის და „თავისუფალი საქართველოს“ სათავო ოფისი დაიხურება. არავინ ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილმა ჯიბეზე უნდა გაიკრას ხელი და მილიონ-მილიონი ჩამოურიგოს არასაპარლამენტო პარტიებს, მაგრამ ისეთი ეფექტური მექანიზმები მაინც უნდა შეიმუშაონ, რომ პარტიებს არსებობის და პოლიტიკაში დარჩენის საშუალება ჰქონდეთ.

ცოტა ხნის წინ სახალხო პარტიის თავმჯდომარემ მამუკა გიორგაძემ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ 26 მაისის ნამდვილი არსი და ზოგადად საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში იმ პატრიოტთა ღვაწლი არ არის დაფასებული, რომლებიც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დისიდენტებად იყვნენ აღიარებული. ნუთუ ისეთი ძნელია, ივანიშვილმა ეს ადამიანები დააფასოს და აღნიშნოს, წელიწადში ერთ დღეს – 26 მაისს მაინც, რომ ისინი საქართველოს თავისუფლებისთვის იბრძოდნენ.

საზოგადოების კონსოლიდირებისთვის და არა გარიყვისთვის, გაერთიანებისთვის და არა აქტიური პოლიტიკური პროცესებისგან ჩამოშორების მიზნით, კარგი იქნებოდა ბიძინა ივანიშვილს საკონსულტაციო საბჭო შეექმნა, რომელშიც შევიდოდნენ ეროვნული მოძრაობის ძველი წარმომადგენლები, მაგალითად, ნოდარ ნათაძე, თამარ ჩხეიძე, ირინა სარიშვილი, მამუკა გიორგაძე, თემურ ჟორჟოლიანი და სხვები. კარგად რომ მოვიძიოთ, არ გაგვიჭირდება სხვა ადამიანების პოვნაც. ეს ის ადამიანები არიან, რომელთა გონება და ანალიზის უნარი ივანიშვილს ბევრ საქმეში წაადგებოდა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტაც თავს გარიყულად არ იგრძნობდა და ქართული პოლიტიკური კულტურაც უფრო ამაღლდებოდა. ამ ინიციატივას წინ არაფერი ეღობება, მხოლოდ ის, რომ ივანიშვილთან დაახლოებული და მის ბანაკში გამაგრებული ძალები ასეთი საბჭოს შექმნის წინააღმდეგი იქნებიან, თუმცა ივანიშვილს თუ ეს იდეა მოეწონება, ვერანაირი გარე თუ შიდა ძალები ამ საბჭოს შექმნას წინ ვერ აღუდგებიან. ამ საკონსულტაციო საბჭოში შეიძლება სხვადასხვა პოლიტიკური გემოვნების ადამიანებიც ვიხილოთ, მაგრამ ეს სახიფათო არ იქნება, მთავარი ის არის, რომ ივანიშვილის გარშემო მხოლოდ ერთი ან ორი პარტია კი არ იქნება კეკლუცად ყელმოღერებული, არამედ ეს სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც მისცემს შესაძლებლობას, ქვეყნის მართვაში მიიღონ მონაწილეობა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასაც დაეხმარება.

„ჩვენი მწერლობის“ დარბაზში რომან „უძრავი ქარის“ განხილვა გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ზურაბ კანდელაკის რომანის – „უძრავი ქარის“ განხილვა გაიმართა.

როგორც ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, ზურაბ კანდელაკის გარეშე ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავყრილობები წარმოუდგენელია. იგი არა მხოლოდ რადიოპესებისა და მოთხრობების ავტორი, არამედ ბელეტრისტიც გახლავთ. გემოვნებიან მკითხველს მისი მოთხრობების კრებული „უფალო, გამიყვანე დერეფნის ბოლოს“ არასდროს დაავიწყდება.

„ახალი რომანი ქართულ სამწერლო ცხოვრებაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. ეს არის ცნობიერების ნაკადზე აგებული რომანი, რაც ამ მწერლის სტილისტიკისათვის არის დამახასიათებელი.

ზურაბ კანდელაკი, როგორც პროფესიონალს შეჰფერის, ახერხებს, ცნობიერების ნაკადზე რადიოსპექტაკლებიც დააფუძნოს. „უძრავი ქარი“ მძაფრი რომანია. გამოკვეთილი სიუჟეტი არ აქვს, თუმც კომპოზიციურად მტკიცედ და მოხდენილადაა შეკრული. მოდერნისტულია და უძრავი ეპოქის ტრაგიზმს გამოხატავს“, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

როგორც მომხსენებელმა სალომე კაპანაძემ განაცხადა, ზურაბ კანდელაკი თავისი ახალი რომანით კვლავ აძლევს გემოვნებიან, ინტელექტუალურ მკითხველს სამყაროსა და დროის აღქმის შესაძლებლობას არა კლასიკური ლოგოსის პრინციპებით, არამედ ადოგმატური, ანტისისტემური მიდგომით.

„კლასიკურ ესთეტიკას ნაჩვევი მკითხველიც კი აქ არასდროს შევა კონფლიქტში, რადგან რომანის მთავარი საზრისი ცოდვამადლის აღქმის ტრაგიკულობას ეფუძნება. ცდუნება, ზიზღი, სინანული, სურვილები და ადამიანის სულის სხვა პულსაციები საბოლოოდ ხომ ამ მთავარ მსაჯულთან იყრის თავს. ამ თვალსაზრისით, უახლესი მე-20 საუკენე მწერლისათვის კარგად შერჩეული სამიზნეა“, – აღნიშნა სალომე კაპანაძემ და დასძინა, რომ მასში მე-20 საუკუნის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა არის ასახული.

მისივე შეფასებით, რომანში შექმნილი ხელოვნური რეალობის სიმბოლიკა ზედმიწევნით სრულად ასახავს იმ რეალობას, რომელშიც ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ.

როგორც ქეთევან შენგელიამ აღნიშნა, ამ რომანს თვალის ერთი გადავლებით ვერ აღიქვამ. მას დაკვირვებით სჭირდება წაკითხვა. მისი მოსაზრებით, უძრავი ქარი იმ საშინელი, უძრავი პერიოდის მიმანიშნებელია, როცა საზოგადოება წინ ვერ მიდის. რომანში სააშკარაოზე ყველა ის პრობლემაა გამოტანილი, რომელიც ჩვენ გარშემო ტრიალებს.

ნათია ხოშტარიას შეფასებით კი, წიგნის კითხვისას ისეთი განცდა გეუფლება, საყვარელ სახლში რომ მიდიხარ, ალბომს ათვალიერებ და ამ სურათებში შენს თავსაც ხედავ.

„ეს წიგნიც სწორედ საკუთრ სულში მოგზაურობაა და აქ დროსა და სივრცეს მნიშვნელობა არ აქვს. რომანის ყველა პერსონაჟში: ჯალათშიც, გმირშიც საკუთარ თავს პოულობ. წიგნის ავტორი გვეუბნება, რომ ადამიანი მანამ არის ცოცხალი, სანამ შეუძლია ცოდვას ებრძოლოს“, – აღნიშნა ნათია ხოშტარიამ.

ნინო ვახანიას შეფასებით კი, ეს წიგნი გამოუცდელი მკითხველისათვის ძნელად წასაკითხია, თხრობა კალეიდოსკოპურია, ერთ ამბავს სხვა ამბავი ერევა. ყოველი პასაჟი ღრმა ანალიზს ითხოვს.

„ეს არის მძიმე, ტკივილიანი წიგნი, მაგრამ ამ სიმძიმის მიუხედავად, მკითხველს რჩება განცდა სიყვარულისა და სიწმინდის გადარჩენისა“, -— დასძინა ნინო ვახანიამ.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ინგა მილორავა, ადა ნემსაძე, თემურ ნადარეიშვილი.

მედიანიუსი

ვენესუელაში პრეზიდენტ მადუროს მკვლელობა ჩაშალეს

ვენესუელის სახელმწიფო ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქვეყანაში პრეზიდენტ მადუროს მკვლელობის გეგმა ჩაშალეს.

ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის როდრიგეს ტორესის თქმით, ცხრაკაციანი ჯგუფი, კვირას, ქვეყნის ჩრდილო ნაწილში აიყვანეს, მანამ სანამ ისინი დედაქალაქ კარაკასში შევიდოდნენ.

ცოტა ხნით ადრე თავად პრეზიდენტი აცხადებდა, რომ მისი და მთავრობის ზოგიერთი წევრის მკვლელობა იგეგმებოდა.

ნიკოლას მადუროს 2006-2013 წლებში ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრი პოსტი ეკავა. 2012 წლის ოქტომბერში გახდა ვენესუელის ვიცე-პრეზიდენტი, ამავდროულად შეინარჩუნა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. 2013 წლის 5 მარტიდან 14 აპრილამდე, უგო ჩავესის სიკვდილის შემდეგ, დროებით ასრულებდა ვენესუელის პრეზიდენტის მოვალეობას.

2013 წლის 14 აპრილს ვენესუელის საპრეზიდენტო არჩევნებში ნიკოლას მადურომ ოპოზიციის კანდიდატი ენრიკე კაპრილეს რადონსკი 1.5%-იანი უპირატესობით დაამარცხა. კაპრილესმა არ სცნო არჩევნების შედეგი და ხმათა დაუყონებლივ გადათვლა მოითხოვა. საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო შედეგები სრული შემოწმების შემდეგ, 19 აპრილს მადურომ ინაუგურაციაზე საპრეზიდენტო ფიცი დადო.

გ. მ.

ახალი შრომის კოდექსი კაბალურია

შორენა გონგლაძე

შრომის კოდექსთან დაკავშირებით ლეიბორისტული პარტია პრეტენზიებს გამოთქვამს. ლეიბორისტი გიორგი გუგავა შრომის კოდექსთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილში ოლიგარქის ინსტინქტებმა იმძლავრა, რისი ნათელი დადასტურება ახალი ხელისუფლების მიერ შემუშავებული შრომის კოდექსია.

გუგავას განცხადებით, პრემიერ-მინისტრი შრომის კოდექსის შეცვლით მონურ შრომას ამკვიდრებს და ამ საკითხში ბენდუქიძე-სააკაშვილის „ტრადიციებს“ იცავს.

გუგავას თქმით, ახალი შრომის კოდექსი მთლიანად მორგებულია მდიდრების ინტერესებზე.

– ივანიშვილში ოლიგარქობამ იმძლავრა, გაახსენდა, რომ დამქირავებელია, გაახსენდა, რომ ეს ფული სხვათა შრომის საფუძველზე აქვს ნაშოვნი და ამკვიდრებს იგივე პრინციპებს შრომის კოდექსში, რომელიც უფლებააყრილს ხდის უამრავ მუშა– მოსამსახურეს, – განაცხადა გუგავამ.

გუგავა აფრთხილებს „ჭერდამხობილ“ პარლამენტარებს, შეცვალონ მოსახლეობის მიმართ დამოკიდებულება, თორემ უარესად დაუმთავრდებათ ხელისუფლებაში ყოფნა, ვიდრე „ნაციონალურ მოძრაობას“.

გივი ბერიკაშვილის იუბილეს „იუმორინაც“ აღნიშნავს

ეკა ირემაშვილი

16 ივნისს შოუბიზნეს ცენტრი „ლომისი“ „იუმორინას“ სრულიად ახალ პროგრამას დიდ საკონცერტო დარბაზში წარმოადგენს. ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა და „იუმორინას“ გუნდი თავის ერთგულ მაყურებელს მხოლოდ ერთ კონცერტს შესთავაზებს. როგორც შოუბიზნეს ცენტრის „ლომისი“ ხელმძღვანელი და „იუმორინას“ უცვლელი ავტორი ჯემალ ბაღაშვილი აცხადებს, ეს იქნება სრულიად ახალი საკონცერტო პროგრამა, თავისი ტრადიციული რუბრიკებითა და საინტერესო სიახლეებით.

ჯემალ ბაღაშვილი, „იუმორინას“ ავტორი:

– როგორც ყოველთვის, ჩვენთან არის გამოცდილი ოსტატებისა და ახალი სახეების ნაზავი. გივი ბერიკაშვილი აუცილებლად იქნება, თუ კახიმ მოასწრო გადაღებიდან გათავისუფლება, ისიც იქნება ჩვენს კონცერტში, თუ არადა, მარტო გივი წაიყვანს „იუმორინას“. აუცილებლად აღვნიშნავთ გივი ბერიკაშვილის 80 წლის იუბილეს.

– როგორია ახალი „იუმორინას“ საკონცერტო პროგრამა?

– რა თქმა უნდა, სრულიად ახალი და სიახლეებით სავსე. ახალი მონოლოგი აქვს ბიძინა მახარაძეს, ახალი მონოლოგი აქვს გოგა პიპინაშვილს, სრულიად ახალი მონოლოგი აქვს და ძალიან საინტერესო ნომერი აქვს დანარჩენ პაროდისტებთან ერთად მერაბ სიჭინავას.



– პრეზიდენტი ისევ გყავთ?

– რაღა თქმა უნდა. მამუკა ლომაშვილი ძალიან საინტერესო პროგრამით წარდგება მაყურებლის წინაშე. მიშას გარეშე როგორ შეიძლება, როცა ასე აქტუალურია ეს ამბავი? ნინაკა გელაშვილს მიჰყავს საღამო გივი ბერიკაშვილთან ერთად. ამავე დროს, ნინაკაც ახალ ამპლუაში იქნება, „ქუჩის მუსიკოსებს“ სრულიად ახალი პროგრამა აქვთ. ამ „იუმორინაზე“ თსუ „გორდელა“ გამოვა, უკვე ძალიან პოპულარულები არიან და ჩვენს კონცერტშიც ჩაერთვებიან. გვყავს ძალიან ნიჭიერი ბიჭი, პროექტ „ნიჭიერში“ გამარჯვებული ილუზიონისტი დათო რობაქიძე. „იუმორინაში“ ილუზიონი პირველად გაჩნდება. გარდა ამისა, რუბრიკაში დებიუტანტი წარდგება ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერალი თიკა ანდღულაძე „თეატრალურის კვარტეტთან“ ერთად. გვაქვს კიდევ ერთი ახალი რუბრიკა – „კლასიკა იუმორინაში“, სადაც მერაბ გეგეჭკორი კითხულობს თურქი მწერლის აზიზ ნესინის ძალიან ცნობილ იუმორისტულ მოთხრობას „გიჟი სახურავზე გასულა“ და ძალიან ბევრ საერთოს ნახავენ ჩვენი მაყურებლები ჩვენს დღევანდელობასთან. აი, ამდენი სიახლე გვაქვს. ფაქტობრივად, არც ერთი ძველი ნომერი არ არის, ყველა ახალია და, ვფიქრობ, ძალიან კმაყოფილი უნდა დარჩეს ჩვენი მაყურებელი.

– მხოლოდ ერთ კონცერტს ატარებთ?

– დიახ, მხოლოდ ერთ კონცერტს ჩავატარებთ 16 ივნისს 19 საათზე. ჩვენ კონტრაქტი გვაქვს დადებული „იმედთან“, მათ ახალი პროგრამა წელიწადში ერთხელ უნდა გადავაღებინოთ და ამჯერად ეს რიცხვი შეირჩა.

– ერთი დღე რომ არ არის ხოლმე საკმარისი?

– ამიტომ ყველამ დროზე უნდა შეიძინოს ბილეთები, რომ ეს უნიკალური კონცერტი ნახოს.

„იუმორინას“ ახალ პროგრამაზე დასწრება ნებისმიერ მსურველს 16 ივნისს დიდ საკონცერტო დარბაზში შეეძლება, ბილეთის ფასი კი 10-25 ლარია.

ნიკოლოზ ცისკარიძე დიდი თეატრიდან გააგდეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

2011 წელს გამძაფრდა, როცა მოცეკვავემ საჯაროდ ამხილა ხელმძღვანელობა დიდი თეატრის ისტორიული სცენის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს მასშტაბურ დარღვევებსა და მოცეკვავეებზე ზეწოლაში. თავის მხრივ, დიდი თეატრის ხელმძღვანელობამ მოცეკვავე პრესასთან აქტიურ ურთიერთობასა და მათ მიმართ მიზანმიმართულ ინტრიგებში დაადანაშაულა, თანაც მაქსიმალურად შეამცირა რეპერტუარში ის სპექტაკლები, რომლებშიც ნიკოლოზ ცისკარიძეა დაკავებული. დიდი თეატრის პრემიერმა ორჯერ მიიღო საყვედური პირად საქმეში და ორივე პრესისთვის მიცემული ინტერვიუების გამო, რომლებიც ხელმძღვანელობას არ შეუთანხმა. ნიკოლოზ ცისკარიძემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და საქმე აღძრა დიდი თეატრის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ პირად საქმეში შეტანილი საყვედურების გამო. სასამართლომ მოცეკვავის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და საბოლოოდ ასეთი განაჩენი გამოიტანა: ერთი საყვედური გაუქმდა, მეორე კი, რომელიც შეეხებოდა ნიკოლოზ ცისკარიძის მიერ ბიბისისთვის მიცემულ ინტერვიუს, ძალაში დარჩა. მოცეკვავემ განაცხადა, რომ განაჩენით კმაყოფილი არ არის და სარჩელს აუცილებლად გაასაჩივრებდა. საბოლოოდ მან შეწყვიტა კიდეც პრესასთან ყველანაირი ურთიერთობა, რომ დიდ თეატრში ადგილი არ დაეკარგა, მაგრამ, როგორც ჩანს, მოცეკვავეს ამანაც არ უშველა.

მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ სერგეი ფილინზე თავდასხმა მოხდა. მაშინ ამაში თეატრის ხელმძღვანელობამ ნიკოლოზ ცისკარიძე დაადანაშაულა და თავდასხმაში თანამონაწილეობა დასდო ბრალად. რუსული გამოცემების ნაწილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ, მოცეკვავის აზრით, დიდი თეატრის პრესსამსახური და გენერალური დირექტორი ანატოლი ისკანოვი ამ შემთხვევას პირადი მიზნებისთვის გამოიყენებდნენ და ამაში თეატრში მომუშავე ადამიანებს დაადანაშაულებდნენ. მაშინ დიდი თეატრის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ არანაირ ბინძურ კამპანიას არ აწარმოებენ ნიკოლოზ ცისკარიძის წინააღმდეგ.

ნიკოლოზ ცისკარიძემ მისთვის კონტრაქტის არგაგრძელებას დევნა უწოდა. როგორც „რია ნოვოსტი“ იტყობინება, დიდი თეატრის პრემიერი ასეთი დასასრულს ელოდა კიდეც.

– ამ ყველაფერს მხოლოდ ერთი სიტყვა მიესადაგება – დევნა, – განაცხადა მოცეკვავემ და ჟურნალისტებს უარი უთხრა დამატებითი კომენტარის გაკეთებაზე.

ქართველი მოცეკვავე დიდ თეატრში უკვე 20 წელზე მეტია მოღვაწეობს. მას წამყვანი პარტიები აქვს შესრულებული მსოფლიოში ცნობილ საბალეტო სპექტაკლებში და არაერთი საერთაშორისო აღიარებაც აქვს მოპოვებული. მან დიდი თეატრში პირველმა შეასრულა კვაზიმოდოს პარტია ბალეტში „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, რომელიც 10 წლის წინ როლან პეტიმ დადგა. უკვე 9 წელია ნიკოლოზ ცისკარიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა მოსკოვის ქორეოგრაფიულ აკადემიაში და უძღვება მასტერკლასებს დიდ თეატრში. ამჯერად კი მოცეკვავე საქმის გარეშე დარჩა და დიდ თეატრში ახალი სეზონიდან აღარ იმუშავებს.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

სპორტი

გერმანული ბოხუმიდან აზერბაიჯანულ ინტერში

საქართველოს ნაკრებისა და „ბოხუმის“ ყოფილი ფეხბურთელი, ალექსანდრე იაშვილი, კარიერას აზერბაიჯანულ „ინტერში“ გააგრძელებს. 35 წლის შემტევი „ინტერთან“ ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ჩვენებური უკვე შეუერთდა ახალ კლუბს და ამხანაგურ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა. „ინტერმა“, რომელიც თურქეთში გადის შეკრებას, ადგილობრივ „კარტალასფორს“ 13:0 მოუგო. ბაჩანა ცხადაძემ დუბლი შეასრულა, ხოლო ალექსანდრე იაშვილმა ერთი ბურთი გაიტანა.

„ინტერშივე“ იყო საუბარი კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელის, დავით კვირკველიას შესახებ, თუმცა ეს შეთანხმება არ შედგა და საქართველოს ნაკრების მარცხენა მცველი კარიერას ისევ „დილაში“ გააგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ დასრულებული სეზონის მერე „ინტერი“, რომლის მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძეა, ოთხმა ქართველმა ლეგიონერმა დატოვა: ვალერი აბრამიძემ, ილია კანდელაკმა, გიორგი ადამიამ და რევაზ თევდორაძემ. გუნდში დარჩნენ გიორგი ლომაია და ბაჩანა ცხადაძე.

რუსეთის პრემიერლიგიდან გავარდნილი ვლადიკავკაზის „ალანია“ მომდევნო სეზონისთვის მზადებას შეუდგა და თურქულ შეკრებაზე ორ ქართველს იახლებს. კლუბის პრეზიდენტ ვალერი გაზაევის ინფორმაციით, „ალანიაში“ მივიდნენ ნახევარმცველი გოჩა ხოჯავა და ფორვარდი ოთარ მარცვალაძე. სამაგიეროდ, ტრანსფერზეა დაყენებული მამუკა კობახიძე. **მ. ჟ.**

ლევანდოვსკი დორტმუნდში დარჩება

ერთხელ და სამუდამოდ გრძელვადიან სპეკულაციებს ბოლო მოეღო: რობერტ ლევანდოვსკი მიუნხენის „ბაიერნში“ არ წავა და პოლონელი გოლეადორი მომავალ სეზონშიც იურგენ კლოპის განკარგულებაში იქნება. რობერტს კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულამდე აქვს გაფორმებული და ამით „ბორუსიამ“ გარისკა, რადგან, შესაძლოა, ფეხბურთელი გაისად უფასოდ გაუშვან, თუმცა, ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ, შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს.

რამდენიმე დღის წინ ლევანდოვსკიმ „ბაიერნში“ თამაშის სურვილი არ დამალა და ისიც დააყოლა, იმედია, ხელმძღვანელობა სწორად გამიგებსო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ხელმძღვანელობა გოლეადორს არსად გაუშვებს.

– რობერტის სურვილი სხვა კლუბში გადასვლაზე სრულიად რეალურია, თუმცა ის უფრო რეალურია, რომ მან კონტრაქტი ბოლომდე უნდა შეასრულოს, – განაცხადა „დორტმუნდის“ გენერალურმა მენეჯერმა ჰანს-იოაჰიმ ვატკეკემ.

– ფეხბურთელსა და მის მრჩეველს ვაცნობეთ, რომ ლევანდოვსკის „ბაიერნში“ გადასვლაზე უარს ვამბობთ, ეს კი, კლუბის სპორტული დირექტორის მიხაელ ცორკის სიტყვებია.

ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ დორტმუნდელები 25-30 მილიონ ევროზე ამბობენ უარს. დიდი შანსია, ლევანდოვსკიმ კლუბთან ახალი კონტრაქტი არ გააფორმოს და გაისად უფასოდ დაკარგონ.

ამის შესახებ ვატკეკე დასძენს:

– შესაძლოა, ლევანდოვსკიმ ისეთივე მონდომებით აღარ ითამაშოს, რაც ნამდვილად არ იქნება გასაკვირი, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს დიდხანს არ გაგრძელდება – მე ვიცნობ ისეთ რობერტს, რომელიც გადაწყვეტილებებს გაგებით ეკიდება. **მ. ჟ.**

განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკის აუზთან ევროსტანდარტით აშენებულ ახალ სახლში, 78 კვ. 3/18, ყველანაირი ტექნიკით, საკუჭნაო-გარდერობით, 24-საათიანი დაცვით, ეზოს ვიდეო-კონტროლით. ფასი 1100 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეხზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებულ ისმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინოსაქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბანლეიბეს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

ფრანკ რიბერის ჩემპიონთა ლიგის თასთან ერთად ეძინა

ფრანკ რიბერი ბუნდესლიგის 50-ე საიუბილეო გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელია, თუმცა ეს ყველაფერი არ არის, რადგან ფრანგი 2012-13 წლების სეზონის უდავოდ ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა გახლდათ. ამის გამო ექსპერტებს თამამად მიაჩნიათ, რომ 30 წლის შემტევი ნახევარმცველი „ოქროს ბურთის“ მიღების მთავარი კანდიდატია.

რიბერიმ მართლაც ფანტასტიკური წელი ჩაატარა „ბაიერნთან“ ერთად და ჰეთთრიკიც შეასრულეს – ბუნდესლიგასა და ჩემპიონთა ლიგას ცოტა ხნის წინ გერმანიის თასიც მიაყოლეს.

მაშ ასე, უკვე საკმარისად ჩამოვთვალეთ მიზეზები, რათა რიბერის ინტერვიუმ დაგაინტერესოთ, რომელიც მას „ბილდმა“ ჩამოართვა.

– ჰერ ფრანკ, ახალი კონტრაქტის გაფორმება ტრიუმფალური სეზონის ლოგიკური და სრულყოფილი დასრულებაა?

– რა თქმა უნდა! ასეთი ბედნიერი აქამდე არასდროს და არსად ვყოფილვარ და რატომ უნდა ვიფიქრო სხვა გუნდში გადასვლაზე?! მინდა, რომ გაცილების მატჩი სწორედ „ბაიერნის“ მაისურით ჩავატარო და ისეთი გაცილება მქონდეს, როგორიც მეჰმეთ შოლს ჰქონდა.

– შოლის მსგავსად, თქვენც მოიგეთ ბუნდესლიგა, ჩემპიონთა ლიგა და გერმანიის თასი – ოღონდ, თქვენ ეს ყველაფერი ერთ სეზონში მოახერხეთ.

– ბუნდესლიგა და თასი აქამდე ორჯერ მქონდა მოგებული და ამიტომაც ყველაზე მეტად ჩემპიონთა ლიგის მოგება მინდოდა და ძალზე გახარებული ვარ, რომ ეს ოცნება ავიხდინე! ფინალამდე ერიკ აბიდალს ვესაუბრე, რომელმაც 2009-ში და 2011-ში მოიგო ლიგა და რომელმაც მითხრა, ეს თასი აუცილებლად შენი გახდებაო. ფინალის მერე კი თვით ზინედინ ზიდანმა დამირეკა და მომილოცა. ლიგის თასის თავს ზემოთ აღმართვა დიდებული, ენით აუწერელი განცდაა და ამიტომაცაა ყველა ფეხბურთელის ოცნება.

– რა იგრძენით საფინალო სასტვენის შემდეგ?

– ყველაფერი ერთად! იმ დროს სიცილი და ტირილი ერთდროულად მინდოდა – განცდები და გრძნობები ერთმანეთში ამერია. ჩემი თავი გამახსენდა, როდესაც საფრანგეთის მესამე ლიგაში ვთამაშობდი; როდესაც მამას ვეხმარებოდი მშენებლობაში; ის მოყვარული ფეხბურთელი იყო და ძლივს გვარჩენდა. ოჯახს ბევრი ფული არასდროს ჰქონია – პატარა აპარტამენტში ვცხოვრობდით და ერთ ოთახში სამ კაცს გვეძინა. ლონდონში მამაჩემს რომ თასი დავაკავებინე, ცრემლები ვერც ერთმა ვერ შევიკავეთ და ვიტირეთ.

– იმ ღამეს თქვენ ლიგის თასთან ერთად დაიძინეთ. მეუღლეს თუ მოეწონა ეს აზრი?

– თავიდან დიდად არა, ხომ არ გაგიჟებულხარო, მაგრამ მერე გავხალისდით და სურათებიც გადავიღეთ, მაგრამ ამას ვერავის გაჩვენებთ. ეს თასი იმის დასტურია, რომ მართლა დიდი ფეხბურთელი ვარ და დიდ გუნდში ვთამაშობ. იცით, რა მეამაყება ყველაზე მეტად?

– აბა, გვითხარით.

– გასულ სეზონში სამჯერ ვუკაპიტნე გუნდს და ამან მოტივაცია ერთიორად გამიზარდა. „ბარსელონასთან“ სტუმრად შვაინშტაიგერი და ლამი რომ გამოცვლა ჰაინკესმა, ფილიპი ჩემთან მოვიდა და კაპიტნის სამკლავური გამიკეთა. ვითომ არაფერი, მაგრამ ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და მერე ეს ლამსაც ვუთხარი.

– შარშან „რეალთან“ ნახევარფინალური მატჩის დროს არიენ რობენს წაეკამათეთ, „უემბლის“ ფინალზე კი ორი სასარგებლო პასი გაუკეთეთ – ერთმანეთს რომ ვერ იტანდეთ, „ბაიერნი“ ლიგას, ალბათ, ვერც მოიგებდა... როგორი ურთიერთობა გაქვთ?

– სხვათა შორის, ამაზე ფინალამდე ბევრი ვისაუბრეთ. რობენს ვეუბნებოდი, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ გაიტანდა გოლს, მთავარია, მოვიგოთ-მეთქი. ამ სეზონში ამაღლებული გუნდური სულისკვეთება გვქონდა, რომელიც ძალიან დაგვეხმარა და არიენმაც თამაშის სტილი შეცვალა – გუნდისთვის ბევრს აკეთებს.

– ფინალში თქვენც არ ითაკილეთ „შავი სამუშაოს“ შესრულება და დაცვას ხშირად ეხმარებოდით, მაგრამ შეტევაშიც შეუდარებელი იყავით. მოკლედ, ფრანკ რიბერიმ ეს სეზონი არანორმალურად მაგრად ჩაატარა და რაიმე საიდუმლო ხომ არ გაქვთ წარმატებისა?

– არავითარი საიდუმლო! შარშანდელი წარუმატებლობის შემდეგ ყველა ბაიერნელი გავძლიერდით და ტიტულისთვის გაასმაგებული მოტივაციით ვშრომობდით. ჩემს კარიერაში ეს საუკეთესო სეზონი იყო და საუკეთესო ფორმაში ვარ! რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი იუპ ჰაინკესის ვარჯიშების დამსახურებაცაა, მაგრამ ხშირად თავისუფალ დღეებში ცალკეც დავრბოდი ხოლმე და ნაშუადღევსაც მეძინა ხოლმე, რაც ასევე მეხმარებოდა.

– მათიას ზამერთან ნიძლავი გაქვთ დადებული, რომ, ლიგის მოგების შემთხვევაში, მასთან აზიდვების დუელს გამართავდით. როდის იქნება ეს დაპირისპირება?

– თარიღი თვითონ თქვას, მე ყოველთვის მზად ვარ და არსად წასვლას არ ვაპირებ.

ჯუნგლები „ვისოლს“ შემოსწყრა

ქართული გუნდები, რომლებიც ევროტურნირებში მიიღებენ მონაწილეობას, უკვე შეუდგნენ მზადებას. ერთადერთი გამონაკლისი საჩხერის „ჩიხურაა“. ზემოიმერლების დაფინანსების ბედი ჯერაც გაურკვეველია, ამიტომ გუნდის ხელმძღვანელობა ჯერ თავს იკავებს მისი საევროტურნირო დაკომპლექტებისგან.

ქუთაისის „ტორპედომ“ სახე ძირეულად რომ იცვალა, კარგად არის ცნობილი. ამით უკმაყოფილო მხოლოდ იქაური გულშემატკივარია. „ტორპედოს“ ქომაგთა კლუბმა „ჯუნგლები“ თავის ფეისბუკის გვერდზე კომპანია „ვისოლის“ ბოლოდროინდელ მუშაობაზე უკმაყოფილება გამოთქვა. ამ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

– „ვისოლმა“ ქუთაისში კარგად დაიწყო მუშაობა და კლუბს ძველი ტრადიცია დაუბრუნა, თუმცა ახლა უკვე სწორედ ამ ტრადიციისა და ღირსების შელახვას ცდილობს. გუნდიდან გაუშვეს საქართველოში ყველაზე წარჩინებული მწვრთნელი გია გეგუჩაძე; დაიწყეს გუნდის გაახალგაზრდავება, ევროტურნირების წინ დაასუსტეს შემადგენლობა, მიიყვანეს 17-19 წლის ფეხბურთელები; ასევე გუნდიდან უშვებენ თითქმის ყველა ქუთაისელ ფეხბურთელს; არის საუბარი, რომ გუნდი ბაზას თბილისში, კერძოდ საგურამოში, „ლოკომოტივის“ ბაზაზე დაიდებს;

ეს ყველაფერი „ტორპედოსა“ და ქალაქის შეურაცხყოფაა. ქუთაისი სულ იყო ნიჭიერი ფეხბურთელების მიმწოდებელი საქართველოს ნაკრებისთვის და ძნელი წარმოსადგენია, რომ „ტორპედოში“ ვერ გამოიძებნოს ადგილი ადგილობრივი ფეხბურთელებისთვის. ამბობენ, რომ 3 წლის განმავლობაში მუშაობს აკადემია, თუმცა, ამ დროის მანძილზე გუნდში მხოლოდ 2 ადგილობრივი ფეხბურთელი გამოჩნდა.

ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, ქუთაისის „ტორპედო“ გახდეს ქალაქისთვის შესაფერისი ამბიციური და მიზანმიმართული გუნდი. საამისოდ „ვისოლს“ ძალიან ცოტა დრო აქვს. თუ კლუბის მფლობელი კომპანია ვერ შეძლებს ამ პირობის შესრულებას, უმჯობესი იქნება, გაყიდოს კლუბი მასზე, ვინც „ტორპედოს“ დაეხმარება მაღალი მიზნების შესრულებაში, – ასეთი „ჯუნგლების“ მოთხოვნა.

ამასობაში კი, „ტორპედოში“ არდადეგები დასრულდა და გუნდი ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას ორჯერადი ვარჯიშებით შეუდგა. 16 ივნისამდე ვარჯიშები ქუთაისში ჩატარდება, 18 ივნისიდან კი ქვეყნის 3-გზის ჩემპიონი ავსტრიაში გაივლის შეკრებას. ვარჯიშამდე გუნდი საწვრთნელ ბაზაზე გულშემატკივრებსაც შეხვდა. გაცნობის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა სარაგოსამ მათ მიერ დასმულ კითხვებსაც უპასუხა.

პირველ საწვრთნელ დღეს ჟერარდ სარაგოსას განკარგულებაში 22 ფეხბურთელი იყო, ექსლოკომოტიველთა გარდა, ვარჯიშში მონაწილეობა შემდეგმა მოთამაშეებმა მიიღეს: ქვილითაია, კუპატაძე, ჭელიძე, სანდოხაძე, გოგიჩაიშვილი, ახვლედიანი, ფირცხალავა, მარკოზაშვილი და ფანცულაია. ასევე, გორის „დილას“ ყოფილმა თავდამსხმელმა რევაზ ბარაბაძემ. ქუთაისურ გუნდს წყალტუბოს „სამგურალიდან“ დაუბრუნდა 21 წლის თორნიკე კაპანაძე. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვარჯიშს ვაჟა ტაბატაძე, გიორგი კუხიანიძე და ბექა ტუღუში აკლდნენ. კვლავ ტრავმა აქვს ფორვარდ ნიკა საბანაძეს, რომელიც, სავარაუდოდ, „ტორპედოს“ ვერც ევროასპარეზზე დაეხმარება. ეროვნულ ნაკრებში მიღებული დატვირთვით კი დამატებით დასვენების საშუალება მიეცა მერაბ გიგაურსა და კაპიტან ომარ მიგინეიშვილს. თუმცა, როგორც ამბობენ, საქართველოს ნაკრების მეკარე ქუთაისურ კლუბს მაინც დატოვებს, ისევე, როგორც ელგუჯა გრიგალაშვილი, რომელიც ახალი სეზონიდან თბილისის „დინამოს“ მაისურს მოირგებს. ეს უკვე ტორპედოელთა ესპანელმა დამრიგებელმა დაადასტურა.

შეგახსენებთ, რომ მანამდე ტორპედოელთა რიგები უკვე დატოვეს გიორგი დათუნაიშვილმა, გიორგი ბერიაშვილმა, გრიგოლ დოლიძემ, გიორგი გურულმა.

კიდევ ერთი სიახლეა ისიც, რომ ამერიდან „ტორპედოს“ სპორტული ფირმა „უმბრო“ შემოსავს.

დინამოელები ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგნენ. გუშინ დინამოელებმა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ორჯერ ივარჯიშეს. დილით გამართულ წვრთნაში 15 ფეხბურთელი: თორნიკე ზარქუა, ლევან ტყეშელაშვილი, გივი კვარაცხელია, გიორგი სეთურიძე, გიორგი შაშიაშვილი, გიორგი გველესიანი, ლევან ხმალაძე, გიორგი მერებაშვილი, ჯაბა დვალი, გიორგი პაპავა, ჯაბა ჯიღაური, ლაშა შინდაგორიძე, ოთარ კაკაბაძე, სანდრო გურეშიძე და გიორგი მიქაბერიძე მონაწილეობდა. მიკროტრავმა აქვს და არ უვარჯიშია დავით ხოჭოლავას. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები გიორგი ლორია და ირაკლი ძარია გუნდს 14 ივნისს შეუერთდებიან, ისევე, როგორც ჩისკო. გუნდთან ერთად ვარჯიშს დღეიდან შეუდგებიან – მიკელ ალვარო, უსტარიცი და პეტერ გრაიციარი. მოგვიანებით შეუერთდება გუნდს დარკო გლიშიჩი, რომელიც მაკედონიის ნაკრებთან ერთად იმყოფება და გუშინ ნორვეგიელებთან სათამაშოდ ემზადებოდა.

გორში კი, ხელოვნურსაფარიან მოედანზე, „დილას“ ახალმა მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა თავისი შეგირდები ავარჯიშა. ფეხბურთელები გორში 10 დღე დარჩებიან და დღეში ორჯერად ვარჯიშებს ჩაატარებენ. დღეს მთავარმა მწვრთნელმა შემდეგი ფეხბურთელები ავარჯიშა: შეყრილაძე, ზუროშვილი, ალადაშვილი, მნათობიშვილი, გორელიშვილი, ილურიძე, გვალია, კახელიშვილი, ჯიშკარიანი, აბურჯანია, მაისურაძე, გოგინაშვილი, ი.ლომიძე, ვ.ხორგუაშვილი, პ.ხორგუაშვილი, მოდებაძე, კვახაძე, ლობე.

ასევე გუნდთან ერთად იმყოფებიან: გიორგი გურული (ტორპედო), გიორგი დიასამიძე (სასკო), და გიორგი შუშიაშვილი (სპარტაკი). გავრცელდა ცნობა, რომ „დილაში“, შესაძლოა, საქართველოს ნაკრებისა და „კრასნოდარის“ მეკარე ნუკრი რევიშვილმა ითამაშოს.

კლუბი უკვე ოფიციალურად დატოვეს: გოგიტა გოგუამ, ლეონარდო რამოსმა, ნათან ჟუნიორმა, ზურაბ არზიანმა და ზურაბ მამალაძემ.

გიორგი დევდარიანი:

– ჩავატარეთ პირველი ვარჯიშები და უფრო ახლოს გავიცანი ფეხბურთელები. პირველი ვარჯიშიდან გამომდინარე, გუნდს ეტყობა, რომ ჯერ სათანადოდ არ არიან მზად. ეს შეკრება სწორედ იმას ემსახურება, რომ თითოეულმა მათგანმა წარმოაჩინოს საკუთარი თავი. გუნდში არის გარკვეული ცვლილებები. არის რიგი იმ ფეხბურთელებისა, რომლებმაც შარშან „დილას“ წარმატებებში შეიტანეს წვლილი და ასევე დღეს რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც შემოგვიერთდა, რომლებზეც გაგრძელდება დაკვირვება. შარშანდელთან შედარებით, გუნდი საკმაოდ სახეშეცვლილია. მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე ფეხბურთელთან, ამას ჩვენი გულშემატკივარი უახლოეს ხანში გაიგებს. ასევე ამ შეკრების დასრულების შემდეგ, თვის ბოლოსთვის იგეგმება უცხოური შეკრების მოწყობა, ირჩევა რამდენიმე ვარიანტი: ავსტრიას, თურქეთსა და სლოვენიას შორის. გავემგზავრებით ამ სამიდან იმ ქვეყანაში, სადაც ჩვენთვის მისაღები სპარინგპარტნიორები იქნებიან.

თიხნარის მეფე სტიქიაშია

ყველა დროის საუკეთესო ესპანელმა ჩოგბურთელმა რაფაელ ნადალმა დიდი სლემის რიგით მეორე ტურნირი როლან გაროსი მერვედ მოიგო! ესპანურ ფინალში მან თანამემამულე დავიდ ფერერი 3 სეტში დაამარცხა – 6:3, 6:2, 6:3 და გახდა ისტორიაში პირველი, რომელმაც დიდი სლემის ერთ ტურნირზე 8-ჯერ იმარჯვა!

რაფაელ ნადალი:

– თავი ზღაპარში მგონია! ნაღდად არ მეგონა იმ ტრავმის შემდეგ ასე კარგად თუ დავუბრუნდებოდი კორტს. ძალიან ბედნიერი ვარ, სიტყვებს თავს ვერ ვუყრი და ახლა უბრალოდ მიხარია, რომ გავიმარჯვე.

ამ ტურნირზე ნადალმა, რომელსაც მთავარი პრიზი 6-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა უსაინ ბოლტმა გადასცა, 59-ე გამარჯვება მოიპოვა. ის აქ ერთადერთხელ დამარცხდა – 2009 წელს შვედ რობინ სოდერლინგთან.

შეგახსენებთ, რომ ესპანელს მუხლის ტრავმის გამო 2012 წლის მეორე ნახევარი გაუცდა: ოლიმპიური თამაშების გარდა, ამერიკის და ავსტრალიის ღია პირველობები და წლის შემაჯამებელი ტურნირიც გამოტოვა. ამის გამო ატპ-ს რეიტინგში დაქვეითდა. უცნაურია, მაგრამ ამ გამარჯვების მიუხედავად, ნადალი რეიტინგში მე-5 ადგილამდე დაქვეითდება და დავიდ ფერერს გაუცვლის ადგილს.

რაფაელ ნადალმა კარიერაში 57-ე ტურნირი მოიგო, წლეულს კი მეშვიდე. საგულისხმოა, რომ ამ 57 გამარჯვებიდან 12 დიდი სლემის შეჯიბრებებზე მოდის. „თიხნარის მეფე“ 12 სლემტიტულით ავსტრალიელ როი ემერსონს გაუთანაბრდა. მის წინ მხოლოდ ორი ჩოგბურთელია – ამერიკელი პიტ სამპრასი (14) და შვეიცარიელი როჯერ ფედერერი (17).

საფრანგეთის ღია პირველობის მოგების მიუხედავად რაფა ნადალი გამოქვეყნებულ რეიტინგში დაქვეითდა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ რაფა შარშანაც „როლან გაროსის“ ჩემპიონი გახლდათ, მისი გუშინდელი მოწინააღმდეგე დავიდ ფერერი კი პირველად გავიდა სადიდსლემო შეჯიბრების ფინალში.

მარკოიშვილი თითქმის ჩემპიონია



მანუჩარ მარკოიშვილს თურქეთის ჩემპიონობამდე 1 მოგება აშორებს. „გალათასარაიმ“ ფინალური სერიის მესამე შეხვედრაც მოუგო „ბანვითს“ და საერთო ანგარიშით – 3:0 დაწინაურდა. თუკი პირველი 2 შეხვედრა მარკოიშვილის გუნდმა სტამბოლში მოიგო, ამჯერად ბალიკეშირში იმარჯვა. „გალათასარაი“ მთელი თამაში აგებდა და, ფაქტობრივად, გამოუვალ სიტუაციაში იყო, თუმცა ბოლო წუთზე სტამბოლელებმა დიდებულად ითამაშეს და მასპინძლებს გამარჯვება გამოგლიჯეს – 72:71.

სტამბოლელებმა პირველი მეოთხედი 12:24 წააგეს და მდევრის როლში იყვნენ, ვიდრე მატჩის დასრულებამდე 5 წამით ადრე ენდერ არსლანმა გამარჯვების სამქულიანი არ ჩააგდო. მანამდე კი, ბოლო წუთი რომ დაიწყო, „გალათასარაი“ 65:70 ჩამორჩებოდა. სტუმართა პუერტორიკოელმა გამთამაშებელმა კარლოს არეიომ 2 საჯარიმოთი ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა. ფინალურ სირენამდე 24 წამით ადრე ჯერ ბანვითელმა კეიტ საიმონსმა ააცილა, რომელსაც მისმა თანაგუნდელმა კენან ბაირამოვიჩმა არაზუსტად დაამატა და იმავ არეიომ ორქულიანით ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა. სტამბოლელებმა ტაქტიკური ჯარიმა აიღეს და დასრულებამდე 11 წამით ადრე სერჰან ერდოღანმა მხოლოდ 1 სროლა ჩააგდო – 71:69 „ბანვითის“ სასარგებლოდ.

წუთშესვენების შემდეგ „გალათასარაის“ კალათბურთელებმა ბურთი გვერდიდან შემოიტანეს და კვლავ არეიომ დაიძრა მასპინძელთა სამწამიანისკენ, თუმცა თითქმის ფარქვეშ შესულმა ბურთი პერიმეტრზე მდგომ ენდერ არსლანს გადააწოდა. ამ უკანასკნელმა დასრულებამდე 5 წამით ადრე ზუსტად შეასრულა სამქულიანი და „გალათასარაის“ 72:71 გაამარჯვებინა.

მანუჩარ მარკოიშვილმა სტამბოლელთა შორის ყველაზე მეტ ხანს – 31 წუთს ითამაშა და თავისიანთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ქართველმა უკანახაზელმა 7-დან 2 სამქულიანი და 5-დან 2 ორიანი ჩააგდო, 10 ქულა დააგროვა, რასაც 3 პასი, 2 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაყოლა. ბომბარდირი 15 ქულით კარლოს არეიო გახდა, ხოლო მატჩის გმირ არსლანის ანგარიშზე 12 ქულა დაგროვდა.

ფინალური სერიის მე-4 შეხვედრაც ბალიკეშირში გაიმართება და გამარჯვების შემთხვევაში მარკოიშვილის „გალათასარაი“ ჩემპიონი გახდება.

გიორგი შერმადინის „ოლიმპიაკოსი“ კი საბერძნეთის ჩემპიონატის ფინაურ სერიაში 0:2 ჩამორჩა და საქმე გაირთულა. მორიგი მატჩი პირეოსელებმა ათენში – 52:63 წააგეს.

„ოლიმპიაკოსმა“ ღირსულად იბრძოლა მატჩის პირველ ტაიმში, რომელიც 31:29 მოიგო. მესამე პერიოდში მასპინძლებმა იძალეს, პერიოდი 24:14 მოიგეს და გადამწყვეტი ათწუთიანის წინ სოლიდური უპირატესობა შეიქმნეს. საბოლოოდ „პანათინაიკოსმა“ 11 ქულით იმარჯვა და ჩემპიონობას 1 მოგებით მიუახლოვდა.

შერმადინმა მხოლოდ 4,25 წუთს ითამაშა და ვერაფრის მითვლა ვერ მოახერხა. მწირექულიან მატჩში ოლიმპიოკოსელთაგან საუკეთესო ვასილის სპანულისი იყო, რომელმაც 12 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულთაგან კი ბომბარდირი როკო ლენი უკიჩი გახდა, რომელმაც პირად ანგარიშზე 17 ქულა მიითვალა.

3 გამარჯვებამდე მიმდინარე ფინალური სერიის მორიგი მატჩი პირეოსში გაიმართება.

შედეგები

ფეხბურთი

მრ-2014. შესახჩევი ეტაპი

აზია

ავსტრალია-იორდანია 4:0

ამხანაგური მატჩი

ხორვატია-პორტუგალია 0:1

ამხანაგური მატჩი (ქ1)

ნორვეგია-პოლონეთი 4:2

ირლანდია. ჰიემეიერ დივიზიონი

დროჰედა-დანდალკი 0:1

არგენტინა. ჰიმეარა დივიზიონი

ესტუდიანტესი-ლანუსი 2:0-ზე შეწყდა

ოლდ ბოიზი-უნიონი 5:0

სან ლორენცო-არხენტინოსი 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კულტურის სამინისტრო საგანგებო განცხადებას ავრცელებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აქვეყნებს ინფორმაციას სსიპ „ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში“ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით:

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შემოვიდა მთელი რიგი საჩივრებისა სსიპ „ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის“ ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ და შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შექმნა კომისია, რომელსაც დაევალა აღნიშნული საჩივრების საფუძვლების შესწავლა;

კომისიამ წარმოადგინა დასკვნა, რომლის მიხედვითაც ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელობის არაერთი დარღვევის ნიშანი იკვეთება;

როგორც ცენტრზე სახელმწიფოებრივი კონტროლის განმახორციელებელმა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, შემდგომი რეაგირების მიზნით გადაწყვიტა, რომ აღნიშნული დასკვნა გადაეგზავნოს ფინანსთა სამინისტროს;

ნ. რაჭველი აგრძელებს ევ. მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელობაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

2013 წლის 15 მაისს ცენტრის დებულება შეიცვალა ეროვნული მუსიკალური ცენტრის ინტერესებიდან გამომდინარე (მათ შორის ერთპიროვნული მმართველობის თავიდან აცილების მიზნით შეიქმნა სამხატვრო საბჭო, რომლის შემადგენლობის ინიცირებაც მოხდა საქართველოს კულტურის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს მიერ). ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ამავდროულად, არის სამხატვრო საბჭოს წევრი;

მოქმედი ხელმძღვანელი ინფორმირებული იყო თითოეული გადადგმული ნაბიჯის შესახებ. ამასთანავე, სამინისტროს ყველა ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ღიაა საზოგადოებისთვის, მათ შორის დებულება, რომელიც განთავსებულია 2013 წლის 7 მაისს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე და მასში ნათქვამია:

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება 05/1 2013 წლის 7 მაისი:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2005 წლის 1 აპრილის 3/141 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2005 წლის 1 აპრილის 3/141 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება: 1. დებულების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 3. ცენტრის მართვა; 1. ცენტრის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად. 2. ცენტრის მართვას ახორციელებს ცენტრის სამხატვრო საბჭო (შემდეგში – სამხატვრო საბჭო), რომლის წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი; 3. ცენტრს ჰყავს სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელიც, ამავდროულად, არის სამხატვრო საბჭოს წევრი. 4. სამხატვრო ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი; 5. სამხატვრო ხელმძღვანელი წარმართავს ცენტრის შემოქმედებით და ორგანიზაციულ საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე; კანონმდებლობით დადგენილი წესით დებს გარიგებებს ცენტრის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში; მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, განაგებს ცენტრის ქონებას და საფინანსო სახსრებს, პასუხისმგებელია მათ კანონიერ გამოყენებაზე. 6. სამხატვრო ხელმძღვანელი, მხოლოდ სამხატვრო საბჭოსთან შეთანხმებით: თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის შემოქმედებითი სტრუქტურული ერთეულების მუსიკალურ ხელმძღვანელებს; წყვეტს ცენტრის შემოქმედებითი და ადმინისტრაციული მუშაკების მოწვევა-გათავისუფლების საკითხს; ხელმძღვანელობს ცენტრის სხვა სათათბირო ჯგუფს; შეიმუშავებს და ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს; უფლებამოსილია, ცენტრის შემოქმედებითი და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის მიზნით გამოაცხადოს კონკურსი; ცენტრის პროფესიული დონის ამაღლების მიზნით პერიოდულად ორგანიზება გაუწიოს მასტერკლასებსა და ტრენინგებს; ორგანიზებას უწევს და ხელმძღვანელობს ახალი საკონცერტო ნაწარმოებების შექმნასა და ძველი ნაწარმოებების აღდგენით-მოსამზადებელ სამუშაოებს; უფლებამოსილია, გამოაცხადოს კონკურსი ახალი ნაწარმოებების შექმნის თაობაზე; პასუხისმგებელია მუსიკალური წარმოდგენის მიმდინარეობაზე და უზრუნველყოფს მის ტექნიკურ მხარეს; მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილია, საფინანსო რესურსების არსებობის შემთხვევაში, დანიშნოს ხელფასების დანამატები, გასცეს პრემიები, ჯილდოები, ფინანსური დახმარება; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აცხადებს და ახორციელებს თანამშრომელთა სამსახურში მისაღებად კონკურსებს; უფლებამოსილია მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის მართვის სტრუქტურულ გეგმას, ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგიას, ცენტრის ბიუჯეტს; უფლებამოსილია მოიზიდოს დამატებითი ფინანსური და მატერიალური რესურსები; ცენტრის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ წინადადებას წარუდგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.“.

დებულების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მუხლი 6. სამხატვრო საბჭო: სამხატვრო საბჭო არის ცენტრის მთავარი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის შემოქმედებით და ორგანიზაციულ მიმართულებებს; სამხატვრო საბჭო შედგება 5 (ხუთი) წევრისაგან, რომელშიც შედის სამხატვრო ხელმძღვანელი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ დანიშნული 4 (ოთხი) წევრი; სამხატვრო საბჭო წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც იკრიბება თვეში მინიმუმ 8-ჯერ (რვაჯერ). აუცილებლობის შემთხვევაში, სამხატვრო საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილია, მოიწვიოს საბჭოს სხდომა; სამხატვრო საბჭოს სხდომებზე განიხილება ცენტრის შემოქმედებითი განვითარების სტრატეგია და წევრების მიერ დასმული შემოქმედებითი და ორგანიზაციული საკითხები; სამხატვრო საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის ყველა წევრი; სამხატვრო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, არანაკლებ 3 (სამი) ხმით; წერილობითი შეტყობინების 2-ჯერ (ორჯერ) მიღების მიუხედავად 2 (ორი) წევრის სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სამხატვრო საბჭო უფლებამოსილებას განახორციელებს, თუ მის სხდომას ესწრებიან დანარჩენი წევრები; სამხატვრო საბჭო მისი წევრ(ებ)ის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს სამხატვრო საბჭოს სხდომის 3-ჯერ (სამჯერ) არასაპატიოდ გაცდენის შემთხვევაში.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე. მინისტრი მირიანე ოდიშარია“.

ფესტივალი „საჩუქარი“ აღდგენილია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლოვნებო ასპარეზზე. 3-წლიანი პაუზის შემდეგ ფესტივალი ყველაზე დიდი და გავლენიანი პროგრამით ბრუნდება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში აღიარებული თეატრალური კომპანიები და ხელოვანები. ოქტომბერში ჩვენი დედაქალაქი მშვიდობის, პროგრესისა და ერთიანობის ხმას მიაწვდის მსოფლიოს, – ამბობენ კულტურის სამინისტროში.

ქეთი დოლიძე, რეჟისორი, ფესტივალ „საჩუქრის“ დამაარსებელი:

– ყოველთვის მჯეროდა, რომ სამართლიანობა აღდგებოდა. ეს ფესტივალი აღდგენილია ბატონი ბიძინა ივანიშვილის უშუალო გადაწყვეტილებითა და ინიციატივით. ჩვენ დავიბრუნეთ ჩვენი საკუთარი საფესტივალო დრო, რომელიც იყო ჩვენი და წაგვართვა უგულავამ. მგონია, რომ ნებისმიერი ბოროტება და ცუდი საქციელი ყოველთვის ისჯება. არავისი დასჯა არ მინდა, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ, ყოველთვის მჯეროდა, რომ ფესტივალი აღდგებოდა. პირველ რიგში, არასოდეს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ ჩვენს უცხოელ კოლეგებს, რომლებმაც დააარსეს ეს ფესტივალი. ეს ნურავის ავიწყდება. მერები არ აარსებენ ფესტივალებს. ის, რაც გააკეთა უგულავამ, უპრეცედენტო დანაშაულია. მსოფლიოს ისტორიაში ბოლო 30-40 წლის მანძილზე არ გამიგია ასეთი ფაქტი.

– რა ფაქტი?

– რომ ერთმა ფესტივალმა გააგდოს მეორე. ყველაზე გასაოცარი კი ის არის, რომ ეს ყველაფერი გადაყლაპა ქართულმა თეატრალურმა და კინო საზოგადოებამ, ზოგიერთი გამონაკლისის გამორიცხვით. ეს იყო ოთარ მეღვინეთუხუცესი, რომელსაც ამაზე ჰქონდა ძალიან დიდი რეაქცია და ის ყოველთვის მედგა გვერდში, იმიტომ რომ დიდი ადამიანი იყო და ის იყო ამ ფესტივალის ძირითადი მასპინძელი. ჩვენი ფესტივალის მასპინძელი იყო მარჯანიშვილის თეატრი, სანამ იქ იყო ოთარ მეღვინეთუხუცესი და მერე წყნარად და მშვიდად მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთმა მესვეურმა ჩაიდინა ის, რაც ჩაიდინა. არ ვაპირებ, ეს გადავყლაპო და ამაზე არასოდეს ვილაპარაკო, იმიტომ რომ არ ვარ ასეთი მიმტევებელი. იმ ადამიანებმაც, ვინც ამაზე ხელი მოაწერეს, პრაქტიკულად, ამ ფესტივალზე აიდგეს ფეხი,. ეს ნამდვილად ასეა. მათ გვითხრეს, თქვენ მიბრძანდით აქედან, ჩვენ ჩვენს ფესტივალს გავაკეთებთ, თქვენ ხართ არასასურველი ადამიანები ამ მთავრობისთვის, ამიტომ კარგად იყავითო და ერთ მშვენიერ დღეს მოგვისროლეს. ყველაზე მტკივნეული ის იყო, რომ უცხოელებისგან გავიგე ახალი ფესტივალის დაარსების შესახებ. იმის ლაპარაკი, ჩვენ ქეთი დოლიძეს რაღაც შევთავაზეთ, მივეცით საშუალება, ბოლო კვირა მისი ყოფილიყოო – ეს ყველაფერი არის ტყუილი. ყველაზე მეტად ვერ ვიტან ტყუილს. არავის არაფერი შემოუთავაზებია, როცა პოსტფაქტუმ გავიგე და ამაზე მქონდა საშინელი რეაქცია, მხოლოდ მაშინ იფიქრეს ჩვენს ფესტივალზე. ყველაზე ცუდია ტყუილი, როცა ჯიუტად ამტკიცებ სიცრუეს. ფაქტია, რომ უგულავამ დამსაჯა და ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩვენი ფესტივალი აღდგებოდა და ეს საშინელი უსამართლობა დასრულდებოდა, მოვიდოდა ის ადამიანი და იმ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც სიმართლეს დაადგენდნენ. ნურავინ ნურასდროს იფიქრებს, რომ ან ქეთი დოლიძეს ან მის ჯგუფს, რომელიც ფესტივალზე თავს იკლავდა ამდენი წელი, რამე საჩუქარს უკეთებდა, პირიქით, ჩვენ ვუკეთებდით საჩუქარს ქვეყანას. ამიტომ ნურავინ ნურაფერს დამამადლის.

– როგორ მოახერხეთ ფესტივალის აღდგენა?

– ახლა ძალიან მოინდომა კულტურის სამინისტრომ, ძალიან მოინდომა, პირველ რიგში, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა და, პირველ რიგში, მას ვეუბნები მადლობას, პირადად მისი გადაწყვეტილება იყო, რომ სამართლიანობა დაბრუნებულიყო და ფესტივალი აღმდგარიყო. კულტურის სამინისტრო მაქსიმალურად შრომობს, რომ ეს ყველაფერი შედგეს და ღირსეულად დავბრუნდეთ. ეს ფესტივალი ხომ არ იყო მხოლოდ აქ გამართული ფესტივალი. ამ ფესტივალს ჰყავს პარტნიორები, ეს დააარსეს ედინბურგის ფესტივალის ავტორებმა, ადელაიდის ფესტივალის ავტორებმა, ამიტომ ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი მხარდაჭერა საერთაშორისო საზოგადოებიდან. აი, ამ საერთაშორისო საზოგადოებას მათ გადაუსვეს ხაზი, ზოგიერთი უცხოელიც დაიხმარეს, რომლებიც დაიქირავეს. არადა, ჩვენ უცხოელები ყოველთვის ყველაფერს უფასოდ გვიკეთებდნენ. უგულავამ მოსპო ცნება „საჩუქარი“. ჩვენ არასდროს ჰონორარები არ გადაგვიხდია. ფესტივალი „საჩუქარი“ აწყობდა ქართულ სეზონს ედინბურგში, ავსტრალიაში, საბერძნეთში, რუსეთში. ჩვენ უზარმაზარი გამოცდილება გვაქვს, მაქსიმუმ 6-7 კაცი მუშაობდა ამ ფესტივალზე და ერთ მშვენიერ დღეს მოგვისროლეს და გადაგვგდეს სადღაც.

– ფესტივალის პროგრამა უკვე გაწერილია?

– კი, ფესტივალის პროგრამა უკვე გვაქვს. ფესტივალს გახსნის პიტერ ბრუკი და მისი კამპანია, რომელიც წარმოადგენს „კოსტიუმს“, ჩამოდის საშა ვალცის დასი, რაც არის ჰაიკლასზე ჰაი-კლასი, ჩამოდის კოლბერდის ბალეტი, ასევე ირინა ბრუკის „ოცნების თეატრი“, აბსოლუტურად განსხვავებული და ძალიან ცნობილი რეჟისორია, მას ჩამოაქვს ტრილოგია „ოდისეა“ და რამდენიმე სპექტაკლი. რუსეთიდან ჩამოდის უმაღლესი კლასის რეჟისორი, რომელსაც პიტერ ბრუკს უტოლებენ, ეს არის დიმიტრი კრიმოვი, რომლის 4 სპექტაკლი ჩამოგვაქვს და ერთ-ერთი სპექტაკლის „სამიტის“ პრემიერა აქ გაიმართება. რუსთაველის თეატრში ითამაშებენ სპექტაკლს „ოპუსი 7“, რომელმაც შტურმით აიღო მთელი ნიუ იორკი. მათ ორი სპექტაკლი კი კინომსახიობთა თეატრში იქნება წარმოდგენილი. ფესტივალზე ჩამოვა იაროსლავლის თეატრი, ასევე ფინური ცირკი. ცირკი თეატრში გათამაშდება. საბერძნეთიდან მოდის ორუელის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ფერმა“, ბათუმიდან მოგვაქვს იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი, ზაზა სიხარულიძის მიერ დადგმული ძალიან კარგი მიუზიკლია. ჩვენი ფესტივალის პროგრამაშია „ჰარვის სიზმარი“ ფრანგული ცირკი სანახაობა, რომელიც ქუჩაში ღია ცის ქვეშ გაიმართება. ეს მხოლოდ ნაწილია იმ ღონისძიებებისა, რომლებსაც განახლებული ფესტივალი „საჩუქარი“ წარმოადგენს.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 2. დროის ისტორიული მონაკვეთი, ეპოქა; 3. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 4. შოკოლადის მწარმოებელი უმსხვილესი ფირმა აშშ-ში; 5. მე-20 საუკუნის ვირტუოზი ესპანელი მევიოლინე; 8. რომის პაპის ბრძანებულება; 9. სირაქლემასნაირი, მორბენალი ავსტრალიური ფრინველი; 10. ზოგიერთ ქვეყანაში მთავრობის წევრთა, მინისტრთა ერთობლიობა; 12. მონასტერი ხულოს რაიონში; 13. თეთრი ფერის, ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 15. ოპტიკური მინების მწარმოებელი გერმანული ფირმა.

თარაზულად: 1. თანამეროვე ქართველი პოეტი; 6. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 7. ტყის დიდი გარეული ხარი; 10. ნეონი ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 11. მცენარეთა სამყარო; 13. „ფორმულა-1“-ში მონაწილე იტალიელი ავტომრბოლელი; 14. შავი ფერის ნაყოფის მქონე, ტკბილი, კენკროვანი ბუჩქი; 16. ხოხბის, კაკაბის, გნოლის ბარტყი; 17. დედამიწის ჩრდილო-პოლარული მხარე; 18. აპრილის თვის ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ნინა ნომეხში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 2. ოჯალეში; 3. აპატრიდი; 4. ობივატელი; 5. ლანჩი; 6. ერზაცი; 8. ბრინზა; 11. გუდრონი; 14. ონომასტიკა; 15. ბირთვისი; 16. ალტერაცია; 17. ფაგოტი; 19. ოსტერია; 21. ხიხვი; 22. შნეკი.

თარაზულად: 1. ბოტაფოგო; 5. ლილე; 7. საბენა; 9. მაჭავარიანი; 10. ზუგდიდი; 12. აციდოზი; 13. გრეგორი; 16. ამნერისი; 17. ფიჯი; 18. ბონზა; 20. სკალპელი; 22. შტილი; 23. რეესტრი; 24. ცაგერი; 25. ვისკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰუნდაი; 2. მწვადი; 3. ჰომეროსი; 4. ფიგარო; 6. ხულიგანი; 8. იდიოტი; 11. ბეისბოლი; 12. ნაცნობი; 16. ბამბა; 17. თაობა; 18. აპაჩი.

თარაზულად: 1. ჰეტმანი; 5. ფაცხა; 7. სომელიე; 9. დუქარდი; 10. ფაქტორი; 13. ტექსელი; 14. ბესონი; 15. იავა; 19. ანორაკი; 20. მარჩვიბი; 21. ნაბეღლავი; 22. შიიზმი.

თურქეთში საპროტესტო აქცია სამართალდამცავებმა კვლავ დაშალეს

თურქულმა სპეცდანიშნულების რაზმებმა სტამბულში, ტაქსიმის მოედანზე შეკრებილი მომიტინგეები ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენებით დაშალეს.

ბი-ბი-სის ცნობით, წუხელ დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება ანკარაშიც მოხდა.

აქციის მონაწილეებმა სამართალდამცავებს ქვები დაუშინეს.

თურქეთის პოლიციამ ქვეყნის სამხრეთით მდებარე ქალაქ ადანაში სოციალური ქსელების მეშვეობით არეულობებისკენ და ანტი სახელისუფლებო გამოსვლებისკენ მოწოდებების გამო 13 ადამიანი დააკავა. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „ანადოლუ“ ავრცელებს.

დაკავებულებს ბრალად ედებათ საჯარო დაწესებულებების დარბევისა და კერძო ავტომობილების დაზიანების შემცველი მოწოდებების გავრცელება და პოლიციაზე თავდასხმების პროპაგანდა.

ამასთან, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ ის თანახმა აქციის ორგანიზატორებს შეხვდეს.

ორიკვირისწინსტამბულში დაწყებული საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეებიც ტაქსიმის მოედანზე „გეზი პარკის“ რეკონსტრუქციისა და მის ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრის აშენების შეჩერებას მოითხოვდნენ, მასობრივ არეულობებში გადაიზარდა და თურქეთის ოთხი დიდი ქალაქი მოიცვა.

არსებული ინფორმაციით, დემონსტრაციების დაწყებიდან დღემდე, აქციებს სამი ადამიანი ემსხვერპლა, 5 ათასზე მეტი კი დაშავდა.

ამერიკის შეერთებული შტატები თურქეთის ხელისუფლებას მოუწოდებს, გამოიძიოს პოლიციის ქმედებები დემონსტრანტებთან მიმართებაში. ამის შესახებ სპეციალური განცხადება თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯეი კარნიმ გააკეთა.

„ჩვენ შეშფოთებულები ვაგრძელებთ თურქეთში მიმდინარე მოვლენებზე თვალ-ყურის დევნებას. შეერთებული შტატები სრულად უჭერს მხარს სიტყვისა და შეკრების თავისუფლებას. ასევე, მშვიდობიან პროტესტს, რაც ნამდვილი დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ შეშფოთებას გამოვთქვამთ პოლიციის მიერ ძალის გადამეტებით გამოყენების ფაქტების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გამო და მოვუწოდებთ თურქეთის ხელისუფლებას აღნიშნული ფაქტები სათანადოდ გამოიძიოს“, – განაცხადა ჯეი კარნიმ.

დემონსტრანტებთან მიმართებაში სამართალდამცავების ქმედებების გამოძიებისკენ ოფიციალურ ანკარას შეერთებულ შტატებთან ერთად ევროკავშირიც მოუწოდებს.

ტექსასის სამხედრო ბაზაზე ქალ-სამხედროს ყოფილმა თაყვანისმცემელმა ესროლა

აშშ-ს საარმიო ბაზა „ფორტ სემ ჰიუსტონზე“ სროლა მოხდა. დაზარალდა ქალი სამხედრო მოსამსახურე.

ის საავადმყოფოში გადაიყვანეს და მდგომარეობა სტაბილირად ფასდება, აცხადებს ბაზის წარმომადგენელი ბრენტ ბოლერი და დაზარალებულის სახელს არ ამბობს.

მისი თქმით, მსროლელი ასევე სამხედრო მოსამსახურეა. ის პოლიციას თავად ჩაბარდა და დაპატიმრებულ იქნა. მისი პიროვნება, ასევე ჩადენილის მოტივები არ ხმაურდება.

თუმცა ადგილობრივი გამოცემა იტყობინება, რომ მამაკაცი არმიაში არ მსახურობს. მათ ოდესღაც რომანტიკული ურთიერთობები ჰქონდათ და სროლის ხმა ურთიერთობის გარკვევისას გაისმა, ამბობს პოლიციური დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი ხავიერ სალაზარი. გამოცემა ამტკიცებს, რომ ყოფილი თაყვანისმცემელი პოლიციას ნებაყოფლობით ჩაბარდა. „ის მიმდებარე ტყიდან აწეული ხელებით გამოვიდა და წინააღმდეგობა არ გაუწევია, როდესაც მასთან პოლიციელებმა მიირბინეს“, – ამბობს ერთ-ერთი მოწმე.

ბაზა ქალაქ სან-ანტონიოში არის განლაგებული. ინციდენტი მოხდა შენობის სიახლოვეს, სადაც სამედიცინო ცენტრია განლაგებული.

მაშინვე ბაზის შესასვლელ-გამოსასვლელების მთლიანად დახურვის გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ ორ საათში ეს ზომა გაუქმებული იქნა. ფორტი „სემ ჰიუსტონი“ ერთ-ერთი უძველესი მოქმედი სამხედრო ბაზაა.

სირიის სახელისუფლებო არმია ახალი იერიშისთვის ემზადება

სირიის სახელისუფლებო არმია ქალაქ აპეღოს ამბოხებულების მიერ კონტროლირებად რაიონებზე და გარეუბნებზე იერიშისთვის ემზადება. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „ფრანს პრესი“ ავრცელებს. სააგენტოს ინფორმატორის ცნობით, შეტევა შესაძლოა უახლოეს საათებში დაიწყოს.

აპეღოს მთელ რიგ რაიონებში ხელისუფლებამ უკვე გააგზავნა სამხედრო შენაერთები და მათთან ერთად ლიბანური მოძრაობა „ჰეზბოღლას“ ბოევიკები. სირიის სამხრეთის სტრატეგიულ ობიექტებზე ამბოხებულებმა კონტროლი ჯერ კიდევ გასულ წელს დაანესეს და მას შემდეგ თვეების განმავლობაში სიტუაცია არ შეცვლილა, ვიდრე სახელისუფლებო ძალებმა „ჰეზბოღლას“ ბოევიკების დახმარებით ქალაქ კრუსეირზე კონტროლი აღადგინეს.

სამხედრო ექსპერტების თქმით, კრუსეირში გამარჯვება, რასაც სახელისუფლებო არმიის მიერ ლიბანის საზღვართან კიდევ ერთი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის აღება მოჰყვა, გარდამტეხი ეპიზოდი იყო ქვეყანაში მიმდინარე დაპირისპირებაში.

ამ ფონზე, ბაშარ ასადმა განაცხადა, რომ მსოფლიო ბანკს სურს ხელში ჩაიგდოს ნავთობისა და გაზის მოპოვების ყველაზე ხელსაყრელი პროექტები სირიის სანაპიროებთან. ასადმა ბანკის შეთავაზება გადაჭრით უარყო. მან განაცხადა, რომ სირია არ დაივიწყებს მეგობრებს და ნავთობისა და გაზის მოპოვების ლიცენზიას რუსეთს აჩუქებს, ხოლო ქვეყნის აღდგენითი სამუშაოების კონტაქტებს ჩინელები მიიღებენ.

ლიბანის გაზეთ „ალ აქბარის“ კორესპონდენტი დამასკოში შეხვდა სირიის პერზიდენტ ბაშარ ასადს.

შეხვედრა მოხდა სირიის სამთავრობო არმიის ტრიუმფის შემდეგ კუსეირში, რომელიც კორესპონდენტის თქმით, იყო „ამბოხებულთა გული და ფილტვები“.

ასადის მტკიცებით, მსოფლიო ბანკმა მას კულუარული გარიგება შესთავაზა – 21 მილიარდი კრედიტი შეღავათიანი პირობებით, მაგრამ გადაჭრით უარი მიიღო.

ასადმა განაცხადა, რომ „მსოფლიო ბანკი თითსაც ვერ გაანძრევს აშშ-ის მითების გარეშე“.

ასადი აცხადებს, რომ ახლა მისთვის მთავარია ომისშემდგომი პერიოდი, განსაკუთრებით აღდგენითი სამუშაოები და მოსახლეობისთვის ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნა, დაჭრილების მოვლა და უბინაოდ დარჩენილებისთვის თავშსაფრის საკითხების მოგვარება.

პრეზიდენტი ასადი მისი ქვეყნის არსებობისთვის უდიდეს საშიშროებას ხედავს „სექტანტობის გავრცელებაში“, მისი სიტყვებით, ეს არის უპირველესი პრობლემა, რომელსაც გადაწყვეტა სჭირდება.

თავის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები სირიის ოპოზიციის დახმარების გაძლიერების შესაძლო გზებსა და ვარიანტებს განიხილავს. ამის შესახებ ჟურნალისტებთან შეხვედრისას სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ პსაკიმ ისაუბრა.

„პრეზიდენტი ბარაკ ობამა განიხილავს სირიელი ამბოხებულების მხარდაჭერის გაძლიერების საკითხს. საამისოდ ამ დროისთვის რამდენიმე მისაღები ვარიანტი არსებობს“, – განაცხადა პსაკიმ. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა უკომენტაროდ დატოვა გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები სირიაში ოპოზიციისთვის იარაღს გაგზავნის.

ჯენ პსაკის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, აქტიურად დაუჭირონ მხარი სირიის ოპოზიციას, რათა მოხდეს ბალანსის ცვლილება ოპოზიციისა და ბაშარ ასადის ხელისუფლებას შორის მიმდინარე დაპირისპირებაში.

სირიელმა ამბოხებულებმა კი ქალაქ აპეღოში 15 წლის მოზარდი საკუთარი მშობლების თვალწინ მკრეხელობისთვის მოკლეს. ამის შესახებ ინფორმაციას ორგანიზაცია „სირიის მონიტორინგისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი“ ავრცელებს.

ბრიტანეთში ბაზირებული ორგანიზაციის განცხადებით, მოჰამედ კატაა ამბოხებულებმა მას შემდეგ შეიპყრეს, რაც თითქოს მოზარდმა საუბრისას თქვა: „თავად წინასწარმეტყველი მუჰამედიც რომ ჩამოვიდეს ციდან, მორწმუნე მაინც არ გავხდები“. ამბოხებულებმა მოზარდს ცეცხლსასროლი იარაღით სახისა და კისრის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს.

მსოფლიოში ისლამიზმის ზრდის ტენდენციაზე საერთაშორისო საზოგადოებამ უკვე გამახვილა ყურადღება. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ევროპასა და აზიაში ანტიისლამისტური განწყობის ზრდის მაღალ ტემპებს რელიგიური თავისებურებების შესახებ გამოქვეყნებულ სპეციალურ ანგარიშშიც გამოეხმაურა.

ანგარიშში განსაკუთრებით საგანგაშოდ მიჩნეულია სიტუაცია ჩინეთში, კორეის სახალხოდემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბირმაში. ანგარიში ავტორები, ასევე, ყურადღებას ამახვილებენ ანტისემიტისტური განწყობის ზრდაზე ეგვიპტეში, ირანსა და ვენესუელაში

ბაშარ ასადი ისრაელთან ომის შესაძლებლობას „მთელი სერიოზულობით“ განიხილავს

ლიბანური გამოცემა „ალ-აჰბარი“, რომელიც „ჰეზბოლას“ მთავარი გამმხმოვანებელია, სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადსა და იორდანიის პარლამენტის რამდენიმე დეპუტატს შორის გამართული საუბრის შინაარსს გადმოსცემს.

გამოცემის ცნობით, სირიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის „მთელი სერიოზულობით“ განიხილავს, უახლოეს პერიოდში, გოლანის მაღლობებში ისრაელის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყებას.

„თუ ჩვენ ომს დავიწყებთ, მაშინ, რა თქმა უნდა, არ შემოვიფარგლებით მოსაზღვრე რაიონების მხოლოდ რამდენიმე სარაკეტო დაბომბვით. ეს იქნება ძალზედ სერიოზული ომი, რომლის მიზანი იქნება მაქსიმალური ზიანის მიყენება მტრისთვის მისსავე ტერიტორიაზე“, – განაცხადა ასადმა.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადებით კი, მიუხედავად გოლანის მთებში არსებული დაძაბული მდგომარეობისა, მისი ქვეყანა სირიის კონფლიქტში არ ჩაერთვება.

„ისრაელი არ ჩაერთვება სირიის სამოქალაქო ომში, სანამ ცეცხლი ჩვენს წინააღმდეგ არ იქნება გამოყენებული“, – აღნიშნა მან მთავრობის სხდომის დროს.

გოლანის მთებში გასულ ხუთშაბათს შეტაკებები მოხდა. სირიელმა მეამბოხეებმა კონტროლქვეშ აიღეს ერთადერთი სასაზღვრო გადასასვლელი სირიის ტერიტორიასა და ისრაელის მიერ კონტროლირებადი გოლანის მთებს შორის.

ამ ფონზე, ბენიამინ ნეთანიაჰუსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის, გუშინ საღამოს სატელეფონო საუბარი შედგა. ამის შესახებ ისრაელის პრემიერმა დღეს გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„ჩვენ განვიხილეთ საკითხები, რომელიც სირიას ეხება. გაეროს ძალების დეზინტეგრაცია გოლანის მთებში კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ისრაელი საკუთარ უსაფრთხოებას საერთაშორისო ძალებს ვერ ანდობს. ვაპირებ, რომ ეს საკითხი აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთანაც განვიხილო“, -აღნიშნა მან.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ლუარა და ზურაბ ვადაჭკორიები, რძლები მარინა მამალაძე, ხატია ფოცხვერაშვილი, ანა ნასყიდაშვილი, კაროლინ ჰაუთც-ვადაჭკორია, შვილიშვილები თამარ და გიორგი ბაქრაძეები, დეა და ოთარ ვადაჭკორიები, ლევან და გიგი შუბითიძეები, ავთანდილ, თამარ და ანა ბაქრაძეები, სიძე დავით ებრალიძე, შვილთაშვილები ნიცა და ზურაბ ებრალიძეები, შვილთაშვილის შვილი ზურაბ შუბითიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ვადაჭკორია

პანაშვიდი: 13 და 14 ივნისს, 18 საათიდან 20 საათამდე.
გამოსვენება: 15 ივნისს, 14 საათზე.
მისამართი: ხათუნა დონდუას ქუჩა №2 (ყოფილი მონტინის 1-ლი შესახვევი).

მეუღლე ეთერ გოგიჩაიშვილი და შვილი ცისანა ზაქარეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი

შოთა სამუელის ძე ზაქარეიშვილი

პანაშვიდი: 12 ივნისს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 13 ივნისს, 14 საათზე.
მისამართი: დიდუბის დასახლება №13.
ყოფილი კიროვის ქარხანასთან.

„ასოციაცია მესხეთი-2001 წლის“ დარბაზის შემადგენლობა თანაგრძნობას უცხადებს ასოციაციის პრეზიდიუმის წევრს, ბატონ ბადრი კიკაბიძეს ძვირფასი მეუღლის, სათნო ქალბატონის

მზია ჯავახიშვილის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი 12 ივნისი

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00** „მოამბე„ **11.00** „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) **12.45** „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) **15.00** ტ/სერ „ჭორიკანა„ **17.00** „აღმოაჩინე საქართველო„ **17.30** „AQUA – GEORGIA„ **18.00** დ/ფ „ალექსანდრეს უდიდესი ბრძოლა„ **19.05** ტ/სერ „ნუ შეწყვეტ ოცნებას„ **21.00** „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ **22.00** ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ **23.00** მხ/ფ „შეუპოვარი„ (ჰ. ფორდი) **01.00** „დღეს ორის ნახევარზე„

08.00, 10.00, 21.00 „ბრიფინგის დრო„ **09.00, 19.00** „თავისუფალი ტრიბუნა„ **10.30** „არგუმენტების დრო„ (სამშ. გ/ჩვ) **12.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) **20.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. „დაუვიწყარი„ **11.20** სერ. „ბაფიის ქვრივი„ **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. „დამალული სიმართლე„ **17.50** სერ. „მაგნატები„ **18.50** სერ. „აკრძალული სიყვარული„ **21.00** სერ. „მარტოსული„ **22.00** ფულთან თამაში **23.00** კრიმ. სერ. „შევარდნის თვალი„ **3** სერ. **00.15** მხ/ფ „დედის ნებიერა„ (მ.დილონი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. „სიყვარული მშვენიერია„ **11.00** სერ. „იდუმალი ქალი„ **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** „შუა დღე„ **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. „ვნების უფსკრული„ **18.45** სერ. „ცრემლების გვირგვინი„ **20.05** სერ „ერთგულების ქალა„ **22.00** ნანუკას შოუ. **23.30** სერ. „ბრიჰი„ **00.30** კინოფიშა. **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **06.45** საქართველო არის ესე **07.10** მხ/ფ „ენი მწვანესახურავეგიანი მამულიდან„ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი„ **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.30** „შუადღე„ ერთსულოვნებაზე **14.30** საქართველო არის ესე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **15.50** მოკ/ფ „სერენადა„ **16.20** დოკ/ფ „უნივერსიტეტის გაზეთი-უნივერსიტეტის პოზიცია„ **16.55** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ „აბეზარა„ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ „ტაოკლარჯეთი„ **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ „ენი მწვანესახურავეგიანი მამულიდან„

მაესტრო **7.00, 1.00, 4.30, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00** მაგთიფანი (გამ) **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50** თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ (გამ.) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** კვირის აბები (გამ.) **17.00** ჩემი ქორწილი (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 1.30** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ **19.00** სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.30, 2.30** მაგთიფანი კონცერტი **23.30, 5.00** თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 ივნისი

- აშშ დოლარი — 1,6571
- ევრო — 2,1905
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5728
- 100 რუსული რუბლი — 5,1264

ამინდის პროგნოზი 12 ივნისისთვის

29 მაისიდან

ჟურნალ „სარკესთან“

ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 3

ბრაზილიური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

ტომი 2. ჩეხური ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

ასტროპროგნოზი 12 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე მშვიდად გაატარეთ

ვერძი — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ჯარო** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — რომანტიკულ შეხვედრას რა სჯობია, მაგრამ თქვენ რაღაც რეალური გჭირდებათ. **ლომი** — დიდძალი ქონების პატრონო გახდებით, სიხარულით ცას ეწევით. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — თავს კრიტიკულად შეხედეთ და სხვისი გაკრიტიკება არ მოგინდებათ. **ღრიანცელი** — ფული გექნებათ, ცოტაც მოითმინეთ. **მშვილდოსანი** — არ აჩქარდეთ, კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** — თავს კარგად გრძნობთ, წარმატება მალე მოვა. **მერწყული** — პატარა პრობლემა კი გაქვთ, მაგრამ მალე გადაჭრით. **თევზები** — მთლიანობაში კარგი დღეა, სასაყვედურო არაფერი გაქვთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. მინერალური წყალი სამეგრელოში; 2. ქართული ხალხური ცხენოსნური შეჯიბრი; 4. ფლანდრიელი ფერმწერი; 5. დამრიგებელი, მასწავლებელი იაპონიაში; 6. საწყალოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 7. ცის ეპითეტი, ლურჯი ფერი; 10. ოპერა „რიგოლეტოს“ პერსონაჟი; 12. თიხის ფლეიტა; 13. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 16. ტროპიკული ხილი, ინდისხურმა; 17. მანძილის საზომი ასტრონომიაში; 18. მიქელანჯელოს ქანდაკება; 19. მატყლით, ბამბით ან ბუმბულით დატენილი მოგრძო, მრგვალი ბალიში; 21. პირველი გერმანული ოპერა.

თარაზულად: 3. ჩქარი მატარებელი; 8. კინომატოგრაფისტთა პრემია საფრანგეთში; 9. ფეხბურთის სტადიონი ბუენოს-აირესში; 11. ქალაქი შვეიცარიაში; 12. შავი და თეთრი შრეებიანი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 14. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდება ესპანეთში; 15. ყველაზე მსუბუქი ქიმიური ელემენტი; 20. გურული შრომის სიმღერა; 22. სამონასტრო კომპლექსი თბილისის მახლობლად; 23. ფიჯის დედაქალაქი; 24. სხარტული გამონათქვამი, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან აზრს, სიბრძნეს; 25. ჯავახური პური; 26. კომპიუტერული თაღლითი; 27. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ნიკოლოზ ცისკარიძე დიდი თეატრიდან გააგდეს

ეკა ირემაშვილი

მოცეკვავე ნიკოლოზ ცისკარიძე დიდი თეატრიდან გააგდეს. მასთან შრომითი ხელშეკრულება აღარ გაფორმდება და პირველი ივლისიდან ის დიდ თეატრში აღარ იმუშავებს არც მოცეკვავედ და არც პედაგოგად. ამ განცხადებას „ინტერფაქსი“ დიდი თეატრის პრესსამსახურის ხელმძღვანელ კატერინა ნოვიკოვაზე დაყრდნობით ავრცელებს.

– ნიკოლოზ ცისკარიძეს უკვე გადაეცა შეტყობინება, სადაც აღნიშნულია, რომ მას კონტრაქტი აღარ გაუგრძელდება, – აცხადებს კატერინა ნოვიკოვა.

ნიკოლოზ ცისკარიძეს დიდი თეატრში ბალერონად და პედაგოგად მუშაობის ვადა 30 ივნისს ამოეწურება.

– სწორედ ეს იქნება მისი მუშაობის ბოლო დღე დიდ თეატრში, – განმარტავს კატერინა ნოვიკოვა.

დიდი თეატრის პრესსამსახურის ხელმძღვანელს არ დაუკონკრეტებია ის მიზეზები, რის გამოც პრემიერი თეატრიდან დაითხოვეს, თუმცა აღნიშნა, რომ დამსაქმებელი ვალდებული არ არის, დასაქმებულის სამსახურიდან გაშვების თაობაზე ახსნა-განმარტებები გააკეთოს.

თავად ნიკოლოზ ცისკარიძე აცხადებს, რომ მას ასე მიზანმიმართულად ექცევიან.

– თეატრში მოჰყავთ ისეთი ხალხი, რომლებსაც არანაირი გამოცდილება არ აქვთ. იმ მოცეკვავეებს კი, რომლებიც უკვე წლებია მუშაობენ, არ აძლევენ ცეკვის საშუალებას. ბოლოს დიდი თეატრის სცენაზე 16 მარტს ვიცეკვე, ბოლო სპექტაკლი კი მაისის ბოლო რიცხვებში მაქვს, – განუცხადა ბალერონმა აპრილში მიცემულ ინტერვიუში „იზვესტიას“.

ცნობილია, რომ ნიკოლოზ ცისკარიძისა და დიდი თეატრის ხელმძღვანელობას შორის კონფლიქტი წლებია მიმდინარეობს. სიტუაცია

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ფესტივალი „საჩუქარი“ აღდგენილია

ეკა ირემაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ აღდგენილია. ფესტივალი, რომელიც წლების წინ რეჟისორმა ქეთი დოლიძემ დააარსა, უშუალოდ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით აღდგა.

როგორც რეჟისორმა ქეთი დოლიძემ „ახალ თაობას“ განუცხადა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 3-წლიანი პაუზის შემდეგ აღდგა სახელოვნებო ფესტივალი „საჩუქარი“.

„გიფტი 2013“ 13 ოქტომბერს გაიხსნება და თბილისს 2 კვირით დღესასწაულის ქალაქად აქცევს.

– ეს ფესტივალი ყველაზე კარგად წარმოაჩენს ქვეყნის უნიკალურ თეატრალურ კულტურას. მისი დაარსების ისტორია 1997 წლიდან იწყება და ედინბურგის, ადელაიდის, მელბურნის, პერტის საერთაშორისო სახელოვნებო ფესტივალებს უკავშირდება. დაარსების დღიდან ფესტივალს მხარს უჭერენ ისეთი დიდი ხელოვანები, როგორებიც არიან პიტერ ბრუკი, ანჯეი ვაიდა, ვანესა რედგრეივი, მაიკლ კანი, ანდრეი კონჩალოვსკი, ტელმა ჰოლტი და მსოფლიოში ცნობილი სხვა ხელოვანები. ,,საჩუქარი“ წარმოადგენს ედინბურგის ფესტივალის ანალოგს, რომელიც ყოველთვის ახერხებდა გზავნილის გაშვებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ამბობდა საკუთარ სიტყვას საერთაშორისო სა- ხე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

რობერტო კარლოსი: „რუსები ფეხბურთის აზრზე არ არიან!“

მახაჭყალის „ანჟის“ ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა, რობერტო კარლოსმა, ესპანურ პრესასთან მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსული კლუბების ხელმძღვანელთა დიდი ნაწილი საერთოდ ვერ ერკვევა ფეხბურთში.

ამჟამად თურქული „სივასპორის“ მთავარი მწვრთნელის თქმით, ის გამოცდილება, რომელიც მან რუსეთში მოღვაწეობისას მიიღო, არადამაკმაყოფილებელია მისთვის და დასძინა, რომ ზოგიერთ რუსი საერთოდ ვერ აცნობიერებს, როგორაა მოწყობილი საფეხბურთო სამყარო და როგორ ფუნქციონირებს. ამასთანავე, რობერტო იმედოვნებს, რომ თურქეთში მას არ მოუწევს მსგავს სიტუაციებზე ყურადღების გამახვილება.

დასასრულს „სივასპორის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა დაამატა, რომ მისთვის უცხო არ არის თურქული ფეხბურთი და მშვიდად შეეცდება ისეთი გუნდის აწყობას, რომელიც შეძლებს და მედლებისათვის იბრძოლებს.

მ. ჟ.

აიოვას სილამაზის კონკურსში გამარჯვებულს წინამხარი არ აქვს

აიოვას შტატის ყველაზე ლამაზ გოგონად აღიარეს 23 წლის ნიკოლ კელი, რომელიც მარცხება წინამხრის გარეშე დაიბადა.

გასულ წელს, პირველად ისტორიაში „მის ამერიკის“ წოდებისთვის აუტიზმით დაავადებული გოგონა იბრძოდა, 18 წლის ალექსის ვაინმანი მონტანიდან. 1994 წელს კონკურსის გამარჯვებული გახდა სმენადაკარგული ჰიზერ უაიტსტოუნი, რომელიც ალაბამის შტატს წარმოადგენდა.

ნიკოლის თქმით, ცხოვრებაში ცდილობს ყველაფერი გასინჯოს, რაც კი შესაძლებელია, დაკავებული იყო ბეისბოლით, ცეკვით, დაივინგით.

„თუ ერთი წლის წინ მეტყოდნენ, რომ „სილამაზის დედოფალი“ გავხდებოდი, ამას ვერაფრით დავიჯერებდი“, – ამბობს გოგონა.

ნიკოლი ნებრასკას შტატის უნივერსიტეტში თეატრალურ ხელოვნებას სწავლობდა და ოდესღაც ბროდვეიზე მუშაობისკენ ისწრაფვის.

ის ამჟამინდელ ტიტულს, ინვალიდების პრობლემებისადმი საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად გამოიყენებს.

ახლა ნიკოლ კელი საკუთარ თავს „მის ამერიკა -2014“-ზე წარადგენს, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში ქალაქ ატლანტიკ-სიტიში (ნიუ ჯერსის შტატი) გაიმართება.

გ. მ.

ჩინეთში „უცხოპლანეტელის“ ფოტო გამოაქვეყნეს

ჩინეთის მცხოვრებმა ადგილობრივ სოციალურ ქსელში ფურორი გამოიწვია „უცხოპლანეტელის“ ფოტოგრაფიის გამოქვეყნებით, რომელიც მან თითქოს მდინარე ხუანხეს ნაპირზე, ამო-ს ჩამოვარდნის ადგილას იპოვა. ეს ადამიანი, რომელსაც „დეილი მეილი“ ბატონ ლიდ მოიხსენიებს, ირწმუნება, რომ ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ჯგუფი ღამის ცაზე შანდუნის აღმოსავლეთ პროვინციაში, ქალაქ ბინჭოუს სიახლოვეს ნახა. უეცრად, ერთ-ერთი ობიექტი მიწაზე დაეცა და მალე დამკვირვებელმა შორეული კოსმოსიდან სტუმრის ნარჩენები აღმოაჩინა.

ჩინელი ამტკიცებს, რომ ეს ამბავი მარტში მოხდა. მან თითქოს სხეული სახლში წაიღო და მაცივარში ინახავდა. ბლოგერებს შორის ბევრი იყო ისეთი, ვინც მონაყოლს და სურათებს დაუჯერა. მაგრამ ხელისუფლებამ საკმაოდ სწრაფად თავად ბატონი ლი და ინტერნეტ-მომხმარებლები ციდან მიწაზე დაბრუნა. დიდი აჟიოტაჟის გამო პოლიცია იძულებული გახდა ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელებინა, სადაც ნათქვამია, რომ მაცივრის „არსება“ დამზადებულია მაღალხარისხიანი რეზინით, რომელიც დამწვარი იყო. „უცხოპლანეტელის გვამი“ კარგი ნაკეთობაა, მეტი არაფერი.

მაგრამ პოლიციაზე გაბრაზებული ბლოგერები დანებებას არ აპირებენ. ისინი თანამემამულის „აღმოჩენას“ პროვინცია ხუბეიში 13 მაისს მომხდარ მოვლენებს უკავშირებენ, სადაც ღამის ცაზე რამდენიმე წამით ასო-ბგერა „ვეს“ ფორმის უცნაური ობიექტი გამოჩნდა. მას წითელი კიდეები ჰქონდა, გრძელ ნათელ შუქს ასხივებდა, ასე აღწერს გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“ და ტექსტს ფოტოებსაც ურთავს.

გ. მ.